მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ხუთშაბათი, 3 იანვარი, 1952 წ. № 2 (9162). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში — „პრავდის“ 2/I მოწინავე (1-ლი გვერდი).

კიოდოს საგენტოს მთავარ რედაქტორს ბატონ კიისი ივამოტოს (1-ლი გვერდი).

საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).

ახალი შრომითი წარმატებებით ვასახელოთ სამშობლო 1952 სამეურნეო წელს! (მე-2 გვერდი).

ლითონის ჩქარუსნული ჭრის ოსტატი (მე-2 გვერდი).

ფელეტონი — დამპალოლოგია და ცომოლოგია (მე-2 გვერდი).

მ. არეშიძე, ე. ჯაფარიძე — შევასრულოთ საგეგმო დავალებანი, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი (მე-2 გვერდი).

დ. მამულაძე — გავაძლიერეთ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა სოფლად (მე-3 გვერდი).

მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატები — ანა ზეგერი და შოკრეი ამადუ (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო თემაზე — ჯაშუშებისა და დივერსანტების ამერიკელი მფარველები სამარცხვინო ბოქაულ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში

დაიწყო ახალი, 1952 წელი. საბჭოთა კავშირის, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მშრომელები, მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები მას შეხვდნენ საკუთარი ძალების სრული რწმენით და მტკიცე გადაწყვეტილებით — დაიცვან მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების დიადი საქმე.

განვლილი 1951 წელი იყო სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის სასახელო გამარჯვებათა წელი, ახალი ცხოვრების მშენებლობაში სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიდ წარმატებათა წელი, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის შეძლგომი განმტკიცების წელი. ამ წლის განმავლობაში სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ძალებმა კიდევ უფრო განამტკიცეს თავიანთი პოზიციები მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში.

დიდი კმაყოფილებით შეხვდა პროგრესული კაცობრიობა ი. ბ. სტალინის განცხადებას კიოდოს საგენტოს მთავარი რედაქტორის ბატონ კიისი ივამოტოსადმი. გამოხატავს რა საბჭოთა კავშირის ხალხების დიდ თანაგრძნობას იაპონელი ხალხისადმი, რომელიც უბედურებაში ჩავარდა უცხოელთა ოკუპაციის გამო, ამხანაგი სტალინი წერს:

„გთხოვთ გადასცეთ იაპონელ ხალხს, რომ მე ვუსურვებ მას თავისუფლებასა და ბედნიერებას, რომ ვუსურვებ მას სრულ წარმატებას თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მამაცურ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა წარსულში თვითონ განიცადეს საშინელებანი უცხოელთა ოკუპაციისა, რომელშიც მონაწილეობდნენ იაპონელი იმპერიალისტებიც. ამიტომ მათ სავსებით ესმით იაპონელი ხალხის ტანჯვა, დიდად თანაუგრძნობენ მას და სჯერათ, რომ იგი მიაღწევს თავისი სამშობლოს აღორძინებასა და დამოუკიდებლობას ისევე, როგორც ამას მიაღწიეს თავის დროზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა.

ვუსურვებ იაპონელ მუშებს თავი დაეღწიოთ უმუშევრობისა და დაბალი ხელფასისათვის, მოესპოთ მასობრივი მოხმარების საქონლის მაღალი ფასები და მოეპოვებინოთ წარმატება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ვუსურვებ იაპონელ გლეხებს თავი დაეღწიოთ უმიწობისა და მიწის სიმცირისათვის, მოესპოთ დიდი გადასახადები და მოეპოვებინოთ წარმატება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ვუსურვებ მთელ იაპონელ ხალხს და მის ინტელიგენციას იაპონიის დემოკრატიული ძალების სრულ გამარჯვებას, მათი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გაცხოველებასა და აღმავლობას, ეროვნული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების აყვავებას და წარმატებას მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში“.

საბჭოთა ადამიანები, ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების დიადი საქმის უაღრესად ერთგულნი, ეგებებიან რა ახალ, 1952 წელს, მხურვალედ უსურვებენ ყველა ხალხს წარმატებებს მათს მამაცურ ბრძოლაში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მათ სწამთ და იციან, რომ დაწყებული ახალი, 1952 წელი იქნება კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა კავშირის კიდევ უფრო სასახელო გამარჯვებათა, სოციალიზმის საფუძვლების აშენებაში სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მიღწევათა, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში თავისუფლებისმოყვარე ხალხების წარმატებათა წელი.

ყველა ქვეყნის ხალხთა მასებს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, აღაფრთოვანებს დიადი მაგალითი საბჭოთა კავშირისა, რომელიც თანმიმდევრულად და მტკიცედ ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, წარმატებით ახორციელებს მშვიდობიანი მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას. საბჭოთა კავშირი მშვიდობის ძლიერი ბურჯია. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი სულ უფრო მეტ წარმატებებს აღწევს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში. სულ უფრო მეტად ჩაღდება მშვიდობის გიგანტური მშენებლობანი — ვოლგისა და დნეპრის, დონისა და ამუ-დარიის ნაპირებზე კომუნიზმის სტალინური მშენებლობანი, მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება სახელმწიფო გეგმები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის მეოხებით განუწყვეტლივ უმჯობესდება საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, იფურჩქნება მეცნიერება და კულტურა.

საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამეგობრობით, მისი ძმური დახმარებით სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა. ვითარდებიან რა სოციალისტური მშენებლობის გზით, პოლონეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, უნგრეთმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა, ალბანეთმა ისეთი შესანიშნავი შედეგები მოიპოვეს საწარმოო ძალების განვითარებაში, ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობაში, ხალხის საარსებო დონის ამაღლებაში, რომლებზეც ამ ქვეყნებს წინათ ოცნებაც არ შეეძლოთ. ყველა ქვეყნის მილიონობით ადამიანი სიხარულით მიესალმება დიდი ჩინელი ხალხის დიდ წარმატებებს, რომელიც ახალ ცხოვრებას ქმნას. მშვიდობიანი მშენებლობის გზით მტკიცედ მიდის წინ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. მტკიცდება და ვითარდება მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძლიერი ბანაკის ქვეყნების თავისუფალ ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკს მეთაურობს, ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის მებრძოლი მთელი პროგრესული ძალების მიზიდულობის ცენტრი გახდა.

ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები მგზნებარე სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის წამყვან როლს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის ბრძოლაში. „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების საქმეში, — ამბობს ცნობილი ჩინელი საზოგადო მოღვაწე გო მო-ჟო, — ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა დიდმა საბჭოთა ხალხმა. საბჭოთა კავშირის ხალხი, რომელსაც ხელმძღვანელობს მთელი მსოფლიოს მშრომელთა უბრძენესი მასწავლებელი და მთელ მსოფლიოში მშვიდობის დაცვის საქმის უდიდესი ხელმძღვანელი გენერალისიმუსი სტალინი, მტკიცედ იცავს მშვიდობის პოლიტიკას და ავითარებს უდიდეს შემოქმედებითს სულისკვეთებას. იგი გახდა მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევი ბურჯი, მსოფლიო კულტურის ჩირაღდანი. საბჭოთა კავშირის არსებობა მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს უნერგავს მშვიდობის საქმის გამარჯვების უსაზღვრო რწმენას. ისინი მადლიერებით შეჰყურებენ საბჭოთა კავშირს და სწავლობენ საბჭოთა კავშირისაგან“.

ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის კეთილშობილური იდეები აღაფრთოვანებს კაპიტალისტური ქვეყნების მილიონობით მშრომელს აგრესიისა და ომის, შიმშილისა და სიღატაკის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლისათვის.

სულ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ავანტიურისტული პოლიტიკის — აგრესიის, ახალი მძარცველური ომის მომზადებისა და გაჩაღების პოლიტიკის შედეგები. გამალებულ შეიარაღებას ამერიკის შეერთებულ შტატებში და აგრესიული ინგლის-ამერიკის ბლოკის სხვა ქვეყნებში უმაგალითო გაჭირვება მოაქვს მშრომელი მასებისათვის. კაპიტალის ქვეყნებში ყველგან იკვეცება სამოქალაქო წარმოება, იზრდება მილიტარიზაციის უღელი. ხალხის ფართო მასების საარსებო დონის უმაგალითო დაცემა და ამავე დროს კაპიტალის ერთი მუჭა მაგნატების გამდიდრება, პოლიციის თარეში, პროგრესული ორგანიზაციების სასტიკი დევნა — ასეთია ჩვენს დროში კაპიტალისტური სამყაროს შავბნელი სინამდვილე.

განსაკუთრებით დიდია იმ ხალხების ტანჯვა, რომლებიც ამერიკელთა ოკუპაციის საშინელებას განიცდიან. დასავლეთ გერმანიაში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში, რომლებიც ამერიკელ იმპერიალისტთა ოკუპაციის უღელქვეშ მოხვდნენ, მშრომელთა უფართოესი მასები უმუშევრობის, ნახევრადშიერი ან მშიერი არსებობის საშინელებას განიცდიან. გლეხობა იტანჯება უმიწოობით და მიწის სიმცირით, დიდი გადასახადებითა და უცხოელთა ოკუპაციის მიერ გამოწვეული სხვა სიძნელეებით.

კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა მასებს არ სურთ შეურიგდნენ ამერიკელი იმპერიალისტების მიერ თავსმოხვეულ სიღატაკისა და უუფლებობის რეჟიმს, ახალი ომის საფრთხეს. იზრდება მილიონობით უბრალო ადამიანთა ბრძოლა მშვიდობისათვის, თავიანთი საარსებო უფლებებისათვის. ფართოვდება და მტკიცდება მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო ფრონტი. ძლიერდება ხალხის მასების გადაწყვეტილება — ჩაფუშონ ახალი ომის გამჩაღებელთა კაცთმძულეობის გეგმები, შეინარჩუნონ და განამტკიცონ ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის საქმე. მშვიდობისათვის, იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ აქტიურ მებრძოლთა რიგებში დგება კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების მილიონობით ადამიანი. ამ ქვეყნების ხალხებისათვის მაგალითი გახდა კორეელი ხალხის გმირული ბრძოლა მშვიდობის საქმისათვის, თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ახალ, 1952 წელს მშვიდობისმოყვარე ხალხები ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა დანაშაულებრივი ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ნიშნით იწყებენ. მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო მოძრაობის საბრძოლო დევიზია ამხანაგი ი. ბ. სტალინის შთამაგონებელი სიტყვები: **„მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას“.**

ახალ წელს საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებიც მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან, ისე როგორც წინათ, განუხრელად განახორციელებენ ომის თავიდან აცილებისა და მშვიდობის შენარჩუნების პოლიტიკას, განამტკიცებენ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ რაც უფრო ძლიერი იქნება საბჭოთა კავშირი, მით უფრო მნიშვნელოვანი იქნება მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე, მით უფრო საიმედო იქნება მშვიდობის საქმე.

მშვიდობის მომხრენი ყველა ქვეყანაში მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ 1952 წელი აღინიშნება მშვიდობისა და დემოკრატიის ძლიერი ბანაკის ძალების შემდგომი ზრდითა და განმტკიცებით.

„პრავდის“ 2-I მოწინავე

ტოკიო

კიოდოს საგენტოს მთავარ რედაქტორს ბატონ კიისი ივამოტოს

პატივცემულო ბატონო კ. ივამოტო!

მივიღე თქვენი მომართვა, რითაც მთხოვთ საახალწლო წერილი გამოვუგზავნო იაპონელ ხალხს.

საბჭოთა მოღვაწეებს არა აქვთ ისეთი ტრადიცია, რომ უცხო სახელმწიფოს პრემიერი მიმართავდეს სხვა სახელმწიფოს ხალხს და გამოთქვამდეს მისდამი თავის სურვილებს. მაგრამ საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი თანაგრძნობა იაპონელი ხალხისადმი, რომელიც უბედურებაში ჩავარდა უცხოელთა ოკუპაციის გამო, მაიძულებს წესიდან გამონაკლისი გავაკეთო და დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა.

გთხოვთ გადასცეთ იაპონელ ხალხს, რომ მე ვუსურვებ მას თავისუფლებასა და ბედნიერებას, რომ ვუსურვებ მას სრულ წარმატებას თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მამაცურ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა წარსულში თვითონ განიცადეს საშინელებანი უცხოელთა ოკუპაციისა, რომელშიც მონაწილეობდნენ იაპონელი იმპერიალისტებიც. ამიტომ მათ სავსებით ესმით იაპონელი ხალხის ტანჯვა, დიდად თანაუგრძნობენ მას და სჯერათ, რომ იგი მიაღწევს თავისი სამშობლოს აღორძინებასა და დამოუკიდებლობას ისევე, როგორც ამას მიაღწიეს თავის დროზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა.

ვუსურვებ იაპონელ მუშებს თავი დაეღწიოთ უმუშევრობისა და დაბალი ხელფასისათვის, მოესპოთ მასობრივი მოხმარების საქონლის მაღალი ფასები და მოეპოვებინოთ წარმატება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ვუსურვებ იაპონელ გლეხებს თავი დაეღწიოთ უმიწობისა და მიწის სიმცირისათვის, მოესპოთ დიდი გადასახადები და მოეპოვებინოთ წარმატება მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

ვუსურვებ მთელ იაპონელ ხალხს და მის ინტელიგენციას იაპონიის დემოკრატიული ძალების სრულ გამარჯვებას, მათი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების გაცხოველებასა და აღმავლობას, ეროვნული კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების აყვავებას და წარმატებას მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

პატივისცემით

ი. სტალინი

1951 წლის 31 დეკემბერი.

საბჭოთა კავშირში

★ ★ ★

გაკეთებულია 1951 წელს

ახალი სახარატო ჩარხის „1620“ მექანიზმები ადვილად ავითარებდნენ ბინდელის ბრუნვათა უდიდეს სიჩქარეს. თავდაპირველად ხელსაწყოს სკალაზე აღინიშნა ბინდელის ბრუნვათა სიჩქარე—1.500, შემდეგ 2.000 და, ბოლოს, 3.000 ბრუნი წუთში. აი ხარატი შეეხო ლითონს და მექანიზმები მყისვე დადგნენ...

მოსკოვის ქარხანა „კრასნი პროლეტარში“ დამზადებული დაზგა „1620“ საბჭოთა დაზგათმშენებლობის ტექნიკის ერთ-ერთი უკანასკნელი მიღწევაა. საწარმოს ინჟინერთა ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის ამ მძლავრი აგრეგატის კონსტრუქცია, გულდასმით სწავლობდა საუკეთესო ჩქაროსანი ხარატების გამოცდილებას. მართვის ორი ავტომატური სისტემით მომარაგებული დაზგა მომარჯვებულია ყოველგვარ ზუსტ სახარატო სამუშაოთა ჩქაროსნულად შესრულებისათვის. ხარატის განკარგულებაშია ორიგინალური მექანიზმი ელექტროსინჯი, რომელიც მართავს საჭრისის მუშაობას.

თითხმეტი ახალი ტიპის ჩარხი შექმნეს წელს ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ ნოვატორებმა. ეს ჩარხები აადვილებენ მუშების შრომას, აჩქარებენ ლითონის დამუშავების პროცესს.

1951 წელს გაკეთებული ჩარხების წარმადობა ერთისამად-ერთიოთხად მეტია, ვიდრე წინანდელი აგრეგატებისა.

ქარხანა „კრასნი პროლეტარი“ წარმატებით ასრულებს მრეწველობის მრავალი დარგის დაკვეთებს. მისი ჩარხები ამზადებენ ავტომობილის, ტრაქტორის, ორთქმავლის, ვაგონის დეტალებს. (საკდესი).

მძლავრი საჭედი აგრეგატი

კრამატორსკი, 28 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ნოვოკრამატორსკის სტალინის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამთავრდა ორი ათასი ტონა წნევიანი მძლავრი საჭედი მანქანის დამზადება.

აგრეგატის წონაა 225 ტონა. იგი განკუთვნილია 20 სანტიმეტრ დიამეტრიანი ნაგლინისაგან ავტომობილისა და ტრაქტორის დეტალების წარმოებისათვის. ცვლის განმავლობაში მანქანას, რომელსაც ერთი კაცი მართავს, შეუძლია დაამზადოს სამი ათასი სატრაქტორო ფლანში—შესასრულოს რამდენიმე ასეული მუშედლის სამუშაო.

ეს უკვე მესამე ტიპის საჭედი მანქანაა, რომელიც ქარხანამ აითვისა 1951 წელს. მანამდე დამზადებულ იქნა 800 და 1.200 ტონა სამუშაო წნევის მანქანები.

გვირაბი არხის ქვეშ

სტალინგრადი. (საკდესი). უბნის კოლექტივმა, რომელსაც სამუშაოთა მწარმოებელი ვლადიმერ როსოხინი მეთაურობს, ვოლგაზე ორი კვირით ადრე დაამთავრა არხის ქვეშ გვირაბის გაყვანა გაზაფხულის ადიდებული წყლის გასაშვებად. ეს წყალი დიდი რაოდენობით გროვდება გაზაფხულზე ვოლგადონის კრასნოარმეისკოესა და ჩაპურნიკის სამშენებლო რაიონებს შორის.

გვირაბიდან გამოსული წყალი მორწყავს მახლობელ კოლმეურნეობათა მინდვრებს.

ახალწლის პირველი დღე მოსკოვში

მოგილოცავთ ახალ წელს! ამ უბრალო, გულითად სიტყვებს წარმოთქვამდნენ ყველგან — თეატრებში, კულტურის სა[illegible]ებში, კლუბებში, ქუჩებში, მეტრ[illegible] სიხარულით შეხვდნენ მოსკოვის [illegible]ომელები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, 1952 წელს.

დედაქალაქის ქუჩები მთელ დღეს გამოცოცხლებული იყო. ბევრი მოსკოველი დაესწრო საახალწლო კონცერტებსა და სპექტაკლებს. ათასობით ადამიანმა დაათვალიერა მუზეუმები. ქალაქ მოსკოვის ისტორიისა და რეკონსტრუქციის მუზეუმში ისინი ეცნობოდნენ ახალი შენობების, არქიტექტურული ანსამბლების მაკეტებსა და ნახაზებს. ბევრი ხალხი იყო ტრეტიაკოვის გალერეის დარბაზებში, სადაც გაიხსნა 1951 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენა. მნახველები ინტერესით ათვალიერებდნენ ფერწერის, სკულპტურისა და გრაფიკის ნაწარმოებთ, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

ახალწლის პირველი დღე მხიარულად გაატარეს მოსწავლეებმა. თეატრებში, კულტურის სასახლეებსა და კლუბებში გაიმართა დილის წარმოდგენები. თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ მდიდრულად მორთული საახალწლო ნაძვისხეები.

არ შეწყვეტილა დედაქალაქის შრომითი ცხოვრება: ფოლადს ხარშავდნენ ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მეტალურგები, განუწყვეტლივ მოძრაობდნენ კონვეიერები სტალინის სახელობის ავტოქარხანაში, გრძელდებოდა მაღალი შენობების აგება...

ასე გავიდა 1952 წლის პირველი დღე. საბჭოთა ხალხი რწმენით მიდის წინ ახალი გამარჯვებებისაკენ. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის წინამძღოლობით ჩვენი ხალხი შემდგომ წარმატებებს მოიპოვებს კომუნისტურ მშენებლობაში, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში. (საკდესი).

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების ასი წლისთავის მომწყობი საიუბილეო კომიტეტი

შეიქმნა დიდი რუსი მწერლის ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების ასი წლისთავის მომწყობი რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი. მწერლის გარდაცვალების ასი წლისთავი უნდა აღინიშნოს 1952 წლის მარტში.

საიუბილეო კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ: გ. ლეონიძე (თავმჯდომარე), ი. აბაშიძე, შ. დადიანი, უ. ჯაფარიძე, ი. დოლიძე, ბ. ეღენტი, ა. იმედაშვილი, პ. ინგოროყვა, ნ. კეცხოველი, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, ვ. კუპრაძე, ი. მოსაშვილი, ნ. მუსხელიშვილი, ბ. ნანიტაშვილი, ნ. პავჩინსკი, ვ. ხატიაშვილი, გ. ნატროშვილი, თ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია, კ. ჭიჭინაძე, ა. შანშიაშვილი, ვ. ჭიაურელი. (საკდესი).

ასი შრომა, მიძღვნილი კომუნიზმის დიადი მშენებლობებისადმი

კომუნიზმის დიადი მშენებლობებისადმი მიძღვნილი დაახლოებით ასი შრომა შეასრულეს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგებმა და ნიადაგმცოდნეებმა. ეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელთა, ასპირანტთა და სტუდენტთა ექსპედიციების მიერ სტალინგრადის ოლქის რაიონებში და თურქმენეთის მთავარი არხის ტრასზე წარმოებული მეცნიერული ძიების შედეგია.

სტალინგრადის სამეცნიერო ექსპედიციამ მოსკოვს მიაწოდა ძვირფასი მასალები კამიშინ-სტალინგრადისა და სტალინგრად-სტეპნოი-ჩერკესკის სახელმწიფო მინდორსაცავი ტყის ზოლების ნიადაგთა თვისებების შესახებ. ექსპედიციის მონაწილეებმა პირველად სცადეს მუხის ბუდობრივი ნათესების მორწყვა და შეიმუშავეს სხვა სამერქნე ჯიშების გამოყენის აგროტექნიკა.

უნივერსიტეტის ლაბორატორიებში იკვლევენ ვოლგა-ახტუბის ნოლის ნიადაგებს — მათს ქიმიურ და სხვა თვისებებს, ადგენენ ნიადაგთა რუკებს. ამ მასალებს პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ვოლგა-ახტუბის ნოლისა და ვოლგის დელტის ასათვისებლად სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით.

თურქმენეთის ზოოლოგიური ექსპედიციის შრომები სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ გ. ვ. ნიკოლსკის მეცნიერული ხელმძღვანელობით დიდ როლს შეასრულებენ ამუ-დარიის თევზის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში. ამ პრობლემასთან დაკავშირებულ თემებზე დაიცვეს სადიპლომო შრომები, მზადდება დისერტაციები სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. (საკდესი).

1952 წლის „კალენდარი-ცნობარი“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით გამოუშვა 1952 წლის „კალენდარი-ცნობარი“.

„კალენდარ-ცნობარში“ მოყვანილია მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ რა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ხალხმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ომისშემდგომი ხუთწლედის მანძილზე. წიგნის ერთ ნაწილში გაშუქებულია მოწინავე საბჭოთა მეცნიერების უდიდესი მიღწევები.

წიგნში დიდი ადგილი უკავია განყოფილებას „მსოფლიოს მოკლე პოლიტიკური რუკა“.

„კალენდარ-ცნობარს“ დართული აქვს სსრ კავშირის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რუკა. (საკდესი).

წლიური გეგმა ვადამდე შეასრულეს

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. გ. მორჩილაძე) უკვე შეასრულა ტრაქტორების რემონტის წლიური გეგმა. შესრულებულია აგრეთვე კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა.

ბოლნისი. (საკ. კორ.). საყუთე-საკასრე ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია 1.085.000 მანეთის პროდუქცია.

თელავი. (საკ. კორ.). რაიონული საბჭოს აღმასკომის სამრეწველო კომბინატმა წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე 108 პროცენტით შეასრულა. გამოშვებულია 3.649.800 მანეთის პროდუქცია. დაგროვების დავალება შესრულებულია ორმაგად.

წელს კომბინატმა განსაკუთრებით კარგად იმუშავა საშენი მასალების დამზადება-გამოშვებისათვის. რაიონის საწარმო-დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და ინდივიდუალურმა ბინათმშენებლებმა კომბინატიდან მიიღეს 502 ათასი ცალი აგური, 263 ტონა კირი, 683 კუბმეტრი ხე-ტყის მასალა.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სამტრესტის ზესტაფონის ღვინო-არყის ქარხანამ 15 დეკემბრისათვის შეასრულა პროდუქციის გამოშვების 1951 წლის გეგმა, მნიშვნელოვნად შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, გაზარდა შრომის ნაყოფიერება და მიაღწია მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას. ქარხანამ ზეგეგმითი დაგროვების სახით სამშობლოს მისცა 300.000 მანეთი.

მაღალნაყოფიერად მუშაობს ღვინის საამქრო, რომელსაც მთავარი მეღვინე ი. კაპანაძე ხელმძღვანელობს, პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა მან ჯერ კიდევ 1 დეკემბრისათვის შეასრულა. საამქროს მოწინავე სტახანოველები: მაშო ჯიხვაშვილი, ნორა მაღლაკელიძე, ფუცა წიქარიძე საწარმოო დავალებას ორმაგად ასრულებენ.

ქარხნის კოლექტივი ამ წარმატებით არ კმაყოფილდება, მშვიდობის სტახანოვურ ვახტზე დადგა და ენერგიულად მუშაობს მიმდინარე წლის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის.

ახალი შრომითი წარმატებებით ვასახელოთ სამშობლო 1952 სამეურნეო წელს!

მეშახტის სიხარული

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, ვხარობთ და ვამაყობთ იმით, რომ განუხრელად იზრდება და მტკიცდება კომუნიზმის მშენებელი ქვეყანა — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ბურჯი.

შენდება და მშვენდება მეშახტეთა ახალგაზრდა ქალაქი ტყვარჩელიც. 1951 წელს მწყობრში ჩადგა ახალი უბნები და ლავები, მეშახტეებისათვის აიგო ბევრი კეთილმოწყობილი, სამ და ოთხ-სართულიანი ბინა.

ჩვიდმეტი წელიწადია, რაც შახტში ვმუშაობ. 1951 წელი ერთ-ერთი ღირსსამახსოვრო წელი იყო ჩემთვის. შარშან შევიმუშავე და პრაქტიკულად განვახორციელე სამთო გამონამუშევრების გაყვანის ახალი, ჩქაროსნული მეთოდი. ამ მეთოდის შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ შტრეკის გაყვანა წარმოებს მეტად მარტივი კონსტრუქციის მექანიზმით, რომლის დამზადება ადვილად შეიძლება ყოველი შახტის ელექტრომექანიკურ სახელოსნოში.

ახალი მეთოდის ფართოდ დანერგვამ დიდად დააჩქარა ჩვენს შახტში სამთო გამონამუშევრების გაყვანის ტემპები. მაგალითად, თუ წინათ თვეში შტრეკის წინსვლა 15-17 გრძივ მეტრს უდრიდა, ამჟამად ახალი მექანიზმით მუშაობის პირობებში თვიური წინსვლა შეადგენს 60-64 გრძივ მეტრს.

გამყვანის შრომა ყველაზე რთული შრომაა შახტში. შარშან ასობით გრძივი მეტრი სამთო გამონამუშევარი გავიყვანე, ერთ წელიწადში 5 წლის ნორმა შევასრულე და ახლა 1959 წლის ანგარიშში ვმუშაობ.

ნიკოლოზ ხაჩიპერაძე

ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის სტახანოველი გამყვანი

ნელს უკეთეს მოსავალს მოვიყვანთ

შესანიშნავი წარმატებებით შეხვდა ახალ წელს სოფელ ვარიანის გოგებაშვილის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეებმა მრავალი ვაგონი შაქრის ჭარხალი გაგზავნეს აგარის ქარხანაში.

რგოლმა, რომელსაც ვხელმძღვანელობ, სამნახევარი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 700 ცენტნერი ჭარხალი, გეგმა კი 230 ცენტნერის მოყვანას ითვალისწინებდა. მოსავლიანობის გადიდებისათვის რგოლს დაერიცხა 740 შრომადღე. ჩაბარებული ჭარხლის ანგარიშში რგოლს ერგება 2.208 კილოგრამი შაქარი, ხოლო ფულად 22.155 მანეთი.

ჰექტარზე 700 ცენტნერი ჭარხლის მოსავალი ახლა არ გვაკმაყოფილებს. რგოლმა ამოცანად დაისახა 1952 წელს თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 900 ცენტნერი შაქრის ჭარხალი. საჭარხლე ნიადაგი უკვე მზად გვაქვს. საკმარისი რაოდენობით მოვიმარაგეთ სასუქებიც. წელს ახალ წარმატებებს მოვიპოვებთ.

ეუჟენა მდივანიძე

გორის რაიონის სოფელ ვარიანის გოგებაშვილის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

ახლებურად მუშაობის ნაყოფი

ოცდაორი წელიწადია სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ვმუშაობ. მიყვარს დიდი რევოლუციური ტრადიციების მქონე ჩვენი ქარხანა და ყოველთვის ვცდილობ ვასახელო ჩვენი კოლექტივი. 1951 წელს ამწყობი საამქროს მექვანეთა ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ახალი წარმატება მოიპოვა. განვახორციელეთ რაციონალიზატორული ღონისძიებანი, ბრიგადის წევრთა რიცხვი 14 კაციდან ექვსამდე შევამცირეთ და სამუშაო საუკეთესო ხარისხით შევასრულეთ. ბრიგადის წევრთა შორის სამუშაო გავანაწილეთ იმის მიხედვით, თუ რომელ ოპერაციას ვინ უკეთ ასრულებდა. ორთქლმავლების ჩარჩოების შეკეთებას ყველაზე სწრაფად და უკეთესად ნ. დიდიკი ასრულებდა, და ამ ოპერაციის შესრულება მას დავაკისრეთ. გ. კალატოზიშვილმა ორთქლმავლის ჩარჩოების მოქლონები დააკავშირა, ვ. დურნოვმა დეტალების ამოჭრასა და მორგებაზე იმუშავა და ა. შ. ამ წესით მუშაობის შედეგად 1951 წელს ორი წლის ნორმა შევასრულეთ და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის ბრიგადის წოდება მოვიპოვეთ.

ბრიგადა ორთქლმავლის დეფორმირებულ ჩარჩოებს ახლად აკეთებს. ეს რთული და მძიმე სამუშაოა. ბრიგადის წევრებს შორის სამუშაოთა მოხერხებული განაწილება დროის ეკონომიას გვაძლევს. მძიმე დასამუშავებელი დეტალების დამზადებისათვის საიარაღო საამქროში სპეციალურ საჭრისებს ვამზადებთ და დეტალებს პნევმატური ურაოს საშუალებით ვამუშავებთ. მუშაობის ეს წესი ძლიერ გვიადვილებს მძიმე დეტალების დამუშავებას.

მიღწეული წარმატებები როდი გვაკმაყოფილებს. ჩვენ შეგვიძლია უკეთესი მაჩვენებლები მოვიპოვოთ. ბრიგადის მუშაობას აფერხებს ის, რომ მექანიკური და სამსხმელო საამქროებიდან ზოგჯერ ვიღებთ ცუდად დამუშავებულ დეტალებს, რომლებსაც უკან არ ვაბრუნებთ. ასეთი დეტალების დამუშავებაზე ზედმეტი დრო გვეკარგება და დეტალიც ზოგჯერ საუკეთესო ხარისხისა არ გამოდის. ახალ სამეურნეო წელს ამ ნაკლოვანებას აუცილებლად გამოვასწორებთ და უფრო მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მოვიპოვებთ.

ლევან მარგიშვილი

ამწყობი საამქროს მექვანეთა ბრიგადის ბრიგადირი

ვიბრძოლებთ ახალი წარმატებებისათვის

ქართველი მეფოლადეებისათვის გასული 1951 წელი ნაყოფიერი მუშაობის წელი იყო. მთელი წლის განმავლობაში დაძაბული, შეუნელებელი ბრძოლა წარმოებდა ფოლადის დნობის რთული საწარმოო პროცესის ათვისებისა და გეგმის მაღალი მაჩვენებლებით შესრულებისათვის.

ფოლადის მდნობელთა ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, წინათ ფოლადის დნობას მხოლოდ 30-40 წუთით ამცირებდა, და ამასაც იშვიათად აღწევდა. 1951 წელს, განსაკუთრებით კი უკანასკნელ თვეებში, დნობის ხანგრძლივობა 2 საათითა და 40 წუთით შევამცირეთ, ამასთანავე გავაუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და მხოლოდ დაწესებული მარკის მაღალხარისხოვან ფოლადს ვუშვებთ.

გასული წლის ოქტომბერში ჩვენი ბრიგადის ინიციატივით მარტენის საამქროში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება თვითეული ღუმელიდან ყოველთვიურად გეგმის გადამეტებით 300 ტონა ფოლადის გამოდნობისათვის. ეს ვალდებულება გადაჭარბებით შევასრულეთ — თვიური გეგმის გადამეტებით გამოვადნეთ 390 ტონა ფოლადი. ასეთივე მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით მუშაობდა ბრიგადა ნოემბერსა და დეკემბერში.

ქართველი მეფოლადეები ახალი შრომითი წარმატებებით, გეგმის გადამეტებით გამოდნობილი მაღალხარისხოვანი ფოლადის გამოშვებით ვიწყებთ ახალ სამეურნეო წელს.

— მიიღე, სამშობლოვ, ჩვენი ქართული ფოლადი!

შ. კუხალეიშვილი

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს სტახანოველი მეფოლადე

ბეჯითი შრომის შედეგი

1951 წელი უბვმოსავლიანი წელი იყო. 135 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 14,5 ცენტნერის ნაცვლად 18,35 ცენტნერი ხორბალი მივიღეთ. უკეთეს წარმატებას მიაღწია ბრიგადამ, რომელსაც ზ. მეტრეველი ხელმძღვანელობს: მისთვის მოსავლელად მიჩენილი 48,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20,8 ცენტნერი პური მიიღო. ცალკეულ ფართობებზე პურეულის მოსავლიანობამ თვითეულ ჰექტარზე 30,28 ცენტნერი შეადგინა. სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით 18 ტონა პირველხარისხოვანი ხორბალი ჩავაბარეთ, ამასთან თვითეულ შრომადღეზე სამ კილოგრამამდე პურეული გავეცით. 21 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 170 ცენტნერის ნაცვლად 400 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოვიყვანეთ.

მრავალი კოლმეურნის ოჯახმა გამომუშავებულ შრომადღეებზე 2-3 ტონა მარცვლეული მიიღო.

წელს მოვიყვანთ უფრო მეტ მოსავალს, ვიდრე გასულ წელს, უფრო განვაკითარებთ საზოგადოებრივ მეურნეობას — კოლმეურნეობის სიძლიერის, კოლმეურნეთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის საფუძველს.

ლევან გუნდიშვილი

სტალინირის რაიონის სოფელ ძარწემის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ღითონის ჩქაროსნული ჭრის ოსტატი

რამდენიმე წლის წინათ ფოთის საზღვაო ნავსადგურის გემშემკეთებელ სახელოსნოებში მოვიდა აბაშელი ყმაწვილი შოთა მალანია. ახალგაზრდას ძალიან მოეწონა ხარატის პროფესია. ის მოწადინებულ ჩარიცხეს. 6 თვეში ყურადღებით შეისწავლა მისთვის უცხო საქმე და მალე დამოუკიდებლად შეუდგა მუშაობას. ახლა შ. მალანია საწარმოში ერთ-ერთი საუკეთესო ხარატია. მუშობს უნივერსალურ სახარატე დაზგაზე. სტახანოველი ხარატი ოსტატურად ჩარხავს ისეთ რთულ ნაწილებს, როგორიც არის დიზელძრავისა და ორთქლის მანქანების ცილინდრები, მუხლაღერძა, ამწის მბრუნავი ჭიქურა და მრავალი სხვა დეტალი.

მოწინავე ხარატი წარმატებით დაეუფლა ლითონის ჩქაროსნულ ჭრას, მუშობაში იყენებს შრომის ახალ მეთოდებს. გემის ხრახნოვანი ღერძის გამოჩარხვას, იმის მიხედვით თუ რა სიდიდისაა, საკმაოდ დიდი დრო — 3—4 დღე სჭირდება, შ. მალანია კი ამ სამუშაოს 2—2,5 დღეში ასრულებს. ამისათვის ის წინასწარ გულდასმით ემზადება: ჯერ ყურადღებით სწავლობს ტექნიკურ ნახაზს, ამოწმებს დაზგის გამართულობას და დასამუშავებელი ლითონის ხარისხს, იმარაგებს საკმაო საჭრისებს და საპნიან წყალს საჭრისის გადახურების თავიდან აცილების მიზნით.

დეტალის დამუშავების დასაჩქარებლად ის ერთდროულად აყენებს ორ საჭრისს — ერთი წინ მიდის, მეორე კი მას მიჰყვება. ამით ლითონი ჩქარა და თანაბრად იჭრება, ამასთან დასამუშავებელი დეტალის განივი რყევაც მინიმუმამდე მცირდება, რაც დიდად უწყობს ხელს სიზუსტის დაცვას.

შოთა მალანია გამომუშავების ყოველდღიურ ნორმას სისტემატურად 200-250 პროცენტით ასრულებს, თავის საწარმოო გამოცდილებას სიყვარულით უზიარებს ამხანაგებს. დღემდე 15 მოწაფე ჰყავს გამოზრდილი. ახლა ბევრი მათგანი თავის მასწავლებელს არ ჩამოუვარდება მუშაობაში. ასეთები არიან, მაგალითად, მეექვსე თანრიგის ხარატი ნიკოლოზ ჩაჩავა, მეოთხე თანრიგის ხარატი კონსტანტინე უდილჩენკო და სხვები.

ხარატ შ. მალანიას ერთი საუკეთესო თვისებაა ჩამორჩენილებისადმი დახმარება და თავდადებული მუშაობა საერთო აღმავლობის მისაღწევად. სწორედ ამიტომ არის, რომ გემთშემკეთებელ სახელოსნოებში მას მოწონავე ადამიანის სახელი აქვს მოხვეჭილი.

ბ. ბილიუტინი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

შეშა თბილისისათვის

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის სატყეო მრეწველობის კოლექტივმა, რომელსაც ხელმძღვანელობს დ. არველაძე, დაამზადა და თბილისის საწარმო-დაწესებულებებისათვის გაგზავნა 10.000 კუბური მეტრი საუკეთესო ხარისხის შეშა.

ფელეტონი

დამპალოლოგია და ცომოლოგია

ბოდიშს ვიხდით მკითხველებთან, რომ ახლა, როცა გაჩალებულია ბრძოლა ენის სიწმინდისათვის, პრესაში გამოგვაქვს ასე ხელოვნურად გაკეთებული ტერმინები — ნახევრად ქართული და ნახევრად ბერძნული, მაგრამ დარწმუნებული ვართ ეს ტერმინები არ ეერჩება ჩვენს ენას, ჩვენს მეტყველებას. ეს ტერმინები ისევე დროებითი და წარმავალია, როგორც დროებითი და წარმავალია დამპალი ვაშლის ან ცომი პურის გაყიდვის შემთხვევა ზოგიერთ საკაჭრო წერტილში.

რამ გვაიძულა შეგვეთხზა ასეთი დასახიჩრებული ტერმინები? მოგეხსენებათ, რომ ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას.

ჩვენ ქართული ენით ვერ მივაღწიეთ ურთიერთგაგებას საქართველოს კონსერვატრესტის ხელმძღვანელობასთან. ასეთივე გაუგებრობა მოგვივიდა თბილისის პურის პირველი ქარხნის ხელმძღვანელობასთან.

ჩვენ ქართულად ვწერდით, რომ საქართველოს კონსერვატრესტის პირველ მაღაზიაში, გარდა იმისა, რომ ცუდი და კარგი ვაშლი ერთ ფასში იყიდებოდა, გამყიდველმა ოსიპოვმა მოქალაქე ჩინჩალაძეს ერთ კილო ვაშლში ორი ცალი დამპალი ვაშლი შეაპარა.

საქართველოს კონსერვატრესტის მმართველის მოადგილემ ამხ. ძიმისტარიშვილმა ჩვენს წერილზე გვიპასუხა, გამყიდველი ოსიპოვი ახალი მუშაკია და პომოლოგიას არ იცნობსო.

პომოლოგია!? — პომოლოგია!? — ვერაფრით ვერ გავიხსენეთ ამ სიტყვის ვერც ფუძე, ვერც ნართაული და მივმართეთ უშაკოვის განმარტებითს ლექსიკონს. „პომუმ“ ლათინურად ყოფილა ვაშლი, „ლოგოს“ ბერძნულია და ნიშნავს მოძღვრებას. გამოდის „მოძღვრება ვაშლის შესახებ“, ანუ ვაშლთმცოდნეობა.

რაკი ამხ. ძიმისტარიშვილს ქართული არ ეხერხება, ჩვენც იძულებული ვართ მისთვის გასაგებ ენაზე ველაპარაკოთ. ვცადეთ „დამპალი“ გვეთარგმნა ლათინურად, მაგრამ ქართულ-ლათინური ლექსიკონი ბიბლიოთეკაში ვერ აღმოვაჩინეთ. ამიტომ „დამპალი“ დავტოვეთ ქართულ ძირად (თუ ამხ. ძიმისტარიშვილს ლათინური დაბოლოება უფრო ეხერხება, წაიკითხოს „დამპალუმ“. გ. შ.). მას მივუმატეთ ბერძნული „ლოგოს“ და მივიღეთ „დამპალოლოგია“, რაც ნიშნავს დამპალთმცოდნეობას. ამ ტერმინით ჩვენ გვინდა დავამყაროთ ურთიერთგაგება კონსერვატრესტის ხელმძღვანელობასთან. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ კონსერვატრესტის მუშაკები თავს დაანებებენ პომოლოგიაში ვარჯიშობას, შეისწავლიან დამპალოლოგიას და ხელს არ დაუფარებენ დამნაშავეებს.

ახლა ცომოლოგიაზე.

მხცოვანმა მწერალმა ილია ზურაბიშვილმა შემოგვჩივლა, პურის ჭამას თავს ვანებებ და მჭადზე გადავდივარო. მან წარმოგვიდგინა ერთი ნაჭერი პური, მთლად ცომი, იმ სავაჭრო წერტილში ნაყიდი, რომელსაც პურის პირველი ქარხანა ამარაგებს.

ჩვენ ეს ცომი პური წარვუდგინეთ პურის პირველი ქარხნის დირექციას.

— გასინჯეთ. შეიძლება ამის ჭამა?— შეეკითხეთ მთავარ ინჟინერს ამხ. აფხაზავას. — ეს ხომ სულ ცომია?

— დიახ, მართლაც რომ ცომია, — დაგვეთანხმა ქარხნის მთავარი ინჟინერი. — საკვირველია, როგორ გაგვეპარა, — გვიპასუხა მან და დაგვიპირდა, რომ საქმეს გამოარკვევდა და ზომებს მიიღებდა.

პასუხში, რომელიც პურის პირველი ქარხნის დირექციამ გამოგვიგზავნა მიღებული ღონისძიებების შესახებ, ცომი პური მონათლულია „ცხობა-ნაკლებ“ პურად, ხოლო ცომი პურის სავაჭრო წერტილში გასასყიდად გაშვება გამართლებულია იმით, რომ თურმე წუნმდებლად მუშობს ახალი, გამოუცდელი მუშაკი, ქველაძე, რომელიც ვერ ერკვევა პურის ცხობის ტექნოლოგიაში, ანუ, ახალი ტერმინით რომ ვთქვათ, ცომოლოგიაში.

ჩვენი ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები თუ ასე ლიბერალურად შეაფასებენ ყოველად შეუწყნარებელ ბოროტმოქმედებას და ასე გამოეხმაურებიან ჩვენს სიგნალებს, საჭირო იქნება სულ სხვა ზომების მიღება.

ჩვენი ქვეყანა განთქმულია საუკეთესო ხილით. რათ უნდა ჩაოდნენ მომხმარებლები?

ჩვენი ქვეყანა განთქმულია საუკეთესო პურით. რათ უნდა ჩაოდნენ მომხმარებლები?

საინტერესოა, თვითონ გულშემატკივრები ხომ არ არიან დაინტერესებული დამპალი ხილისა და ცომი პურის გაყიდვით?

გერმან შუბიძე

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

საპაიო მარკების გაცვლის წესის დამახინჯებისათვის

სოფლკორი გვწერდა, რომ ახალციხის რაიონის სოფელ კლდეთის სოფლის კოოპერატივის გამყიდველი ზუმბაძე ამახინჯებს საპაიო მარკების გაცვლის წესს. როგორც ცეკავშირის გამგეობა გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. ახალციხის რაიკოოპკავშირის გამგეობის დავალა სოფელ კლდეთის დუქნის გამგეგამყიდველი ზუმბაძე მოიხსნას სამუშაოდან.

შევასრულოთ საგეგმო დავალებანი, გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი

უკანასკნელ წლებში თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი ვერ ასრულებს სახელმწიფო საგეგმო დავალებებს, განსაკუთრებით ჩამორჩება პროდუქციის ხარისხის მხრივ. ჯერ კიდევ 1949 წელს თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე მკაცრად იყო გაკრიტიკებული ფაბრიკის მაშინდელ ხელმძღვანელთა მოუქნელი მუშაობა. კონფერენციამ ფაბრიკის კოლექტივს ამოცანად დაუსახა აღმოეფხვრა შრომის ორგანიზაციასა და ტექნიკური კონტროლის სისტემაში არსებული ნაკლოვანებანი, გაეჩაღებინა ბრძოლა პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და ფაბრიკის მარკის ღირსების დასაცავად.

ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციაში

უკანასკნელ ხანებში ფაბრიკის კოლექტივმა რამდენადმე გააუმჯობესა მუშაობა, გაადიდა პროდუქციის გამოშვება, მაგრამ ძირითადი ნაკლოვანებანი შრომის ორგანიზაციისა და ტექნიკური კონტროლის საქმეში კვლავ რჩება, ეს კი დიდად აფერხებს ფაბრიკის მუშაობას.

ფაბრიკის შრომისა და ხელფასის, აგრეთვე საგეგმო-საწარმოო განყოფილებების ზოგიერთი მუშაკის სიტყვით, წარმოებას ხშირად არაკომპლექტური და უხარისხო ნედლეულით ამარაგებენ და თითქოს ამის გამო ვერ ასრულებენ ხარისხობრივ დავალებას. ეს განცხადება არ არის სწორი. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ აუხსნელი იქნებოდა ის წარმატებანი, რომლებსაც მიაღწია ამ ფაბრიკის მეხუთე სამკერვალო საამქროს კოლექტივმა. ამ საამქრომ ჯერ კიდევ 17 ოქტომბრისათვის შეასრულა 1951 წლის გეგმა, 93 პროცენტამდე გაზარდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება და რენტაბელური მუშაობით 150 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მიიღო. განა ეს საამქრო ნედლეულით ისევე არ მარაგდება, როგორც მეორე, მეოთხე ან სხვა ჩამორჩენილი სამკერვალო საამქროები? იქნებ ფაბრიკის ხელმძღვანელები ამ საამქროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ, მუშაობის უფრო ხელსაყრელ პირობებს უქმნიან? რა თქმა უნდა, არა! ყველა სამკერვალო საამქროს ნედლეულით მომარაგება და მუშაობის პირობები თითქმის ერთნაირია. განსხვავება მხოლოდ საამქროს შიგნით, თვით საამქროს კოლექტივის დარაზმულობასა და შრომის ორგანიზაციაშია.

მოწინავეებთან ერთად ჩვენ გავეცანით ჩამორჩენილ საამქროთა მუშაობას. წინა თვეებთან შედარებით მუშაობის გაუმჯობესების მიუხედავად, მეოთხე სამკერვალო საამქროს მერვე ნაკადმა ნოემბერში სამშობლოს დააკლო 2.800 წყვილი ფეხსაცმელი, დაუშვა წუნის 70-ზე მეტი შემთხვევა და გეგმაზე 13,6 პროცენტით ნაკლები პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა. მეორე სამკერვალო საამქროს მესამე ნაკადმა მარტო ერთ დღეს დაუშვა წუნის 73 შემთხვევა. 11 თვეში ნაკადის კოლექტივმა მრავალი ათასი ფეხსაცმელი დააკლო სამშობლოს და ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 79 პროცენტისა მხოლოდ 58,6 პროცენტი პირველი ხარისხის პროდუქცია გამოუშვა.

ჩამორჩენის მიზეზები

მოწინავე და ჩამორჩენილ საამქროთა მუშაობის შედარებამ გამოავლინა, რომ ფაბრიკის მიერ ხარისხობრივი დავალების შეუსრულებლობის მთავარი მიზეზები შემდეგია:

პირველი. საამქროებში არღვევენ ტექნოლოგიურ რეჟიმს. მეოთხე სამკერვალო საამქროში სასპორტო ფეხსაცმლის შესაკერავად გაწყობილ გადამჭიმავ მანქანებს ქალის ქუსლიანი ფეხსაცმლის შესაკერავადაც იყენებენ. სასპორტო ფეხსაცმლისათვის საჭიროა 6 და 7 ნომერი ტექსი (წვრილი ლურსმანი), ქალის ფეხსაცმელი კი 8 და 9 ნომერ ტექსს მოითხოვს. ცხადია, თუ მეშვიდე ნაკადში, რომელიც სასპორტო ფეხსაცმელს კერავს, ეს მანქანები შეუფერხებლად მუშაობენ, სამაგიეროდ მერვე ნაკადში ჭირვეულობას იწყებენ, ხშირი ცარიელი დარტყმებით აძცირებენ შრომის ნაყოფიერებას და აუარესებენ ფეხსაცმლის ხარისხს.

ამავე საამქროს მერვე ნაკადში არ მოეპოვებათ ტექნოლოგიური რუკა, სადაც ნაჩვენები იქნებოდა, თუ რა ოპერაცია რა დროში უნდა შეასრულოს თვითეულმა მუშამ. ტექნოლოგიური ლაბორატორიის მუშაკებს ამ რუკის შესადგენად თავი არ შეუწუხებიათ. ტექნოლოგიური რეჟიმი № 155 მოდელის ქალის ფეხსაცმლის დასამზადებლად 95 საწარმოო ოპერაციის შესრულებას ითვალისწინებს. ყველა ამ ოპერაციას ნაკადში გარკვეული რაოდენობის მუშა უნდა ასრულებდეს. ფაქტიურად აქ მუშათა ეს რაოდენობა მუშახელის ნაკლებობის გამო შემცირებულია 23 კაცით. ამასთანავე მუშათა კვალიფიკაციაც დაბალია. ამის გამო ისინი ვერ ახერხებენ საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებას, უშვებენ წუნს.

ასეთივე მდგომარეობაა მეორე საამქროშიც. მესამე ნაკადის გამომყვან უბანზე ცალკეულ საწარმოო ოპერაციებს თვითნებურად ასრულებენ და ტექნოლოგიურ მოთხოვნებს არ იცავენ.

მეორე. სამკერვალო საამქროთა მუშაობას ნაწილობრივ საგამომჭრელო და სატვიფრო საამქროთა კოლექტივები აფერხებენ. ხშირად ისინი დაძაბულებელ უბნებს აწვდიან ცუდი ხარისხით დამუშავებულ და უსწოროდ დადამღულ დეტალებს, ამასთან დღემდე ვერ მოაგვარეს დეტალების რიტმულად, თანდათანობით და შეუნელებლივ მიწოდება.

მესამე. ამ ბოლო დროს ტექნიკური კონტროლის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების მიუხედავად ჯერ კიდევ მთლიანად აღმოფხვრილი არ არის გაუპიროვნება, ანუ ისეთი მოვლენა, როცა ერთსადამავე ოპერაციას რამდენიმე მუშა ასრულებს და წუნის დაშვების შემთხვევაში შეუძლებელია დამნაშავის გამოვლინება. საამქროებში ოპერაციათაშორისი კონტროლიორები ჯეროვან სიფხიზლეს ვერ იჩენენ. ამის შედეგია, რომ ზოგჯერ ფეხსაცმელი მთელ ნაკადს გაივლის და მხოლოდ ფინიშზე გამოვლინდება რომელიმე უპასუხისმგებლო ხელოსნის დაუდევრობის ნაყოფი. ოსტატები და უფროსი ოსტატები არათუ მკვეთრად იბრძვიან პროდუქციის ხარისხისათვის, ზოგჯერ თვითვე იძლევიან ცუდ მაგალითს, ცდილობენ პირველი ხარისხის მარკით გააპარონ დაბალი ხარისხის ფეხსაცმელი. მეორე სამკერვალო საამქროს მესამე ნაკადის გამომყვანი უბნის ოსტატმა ვ. ვოდოვოზოვამ ამას წინათ შენიშნა, რომ მის უბანს უანლოვდებოდა უტოლო წყვილი ფეხსაცმელი. მან მიუთითა კონტროლიორ მ. შრამენკოს, რომელმაც ნაკადიდან ჩამოხსნა დეფექტიანი ფეხსაცმელი, რომ უკანვე დაებრუნებინა გასასწორებლად. ეს იწყინა უფროსმა ოსტატმა ა. კირილიუკმა, მან კონტროლიორს დეფექტიანი ფეხსაცმელი ისევ ნაკადზე გაავლებინა, ხოლო ოსტატ ვოდოვოზოვას, რომელმაც სიფხიზლე გამოიჩინა და წუნი დროზე შენიშნა, უსამართლოდ უსაყვედურა.

ამავე ნაკადში მუშები ხაგულაშვილი, კრასინა, ოგანეზოვა და სხვები კონვეიერზე ფეხსაცმელს ფრთხილად დადების ნაცვლად მოქნეულით ჰყრიან, რაც იწვევს პროდუქციის დაზიანებას.

ფორმალიზმი სოციალისტურ შეჯიბრებაში

ჩამორჩენის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის არის, რომ აქ ქმედითად ვერ იყენებენ შრომის სოციალისტურ ფორმებს. ფაბრიკაში ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, რომ დაწესებული ნორმენკლატურითა და ასორტიმენტით სახელმწიფო გეგმების სავალდებულო შესრულებასთან ერთად სოციალისტური შეჯიბრების მთავარი ამოცანაა ბრძოლა პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის, ნედლეულისა და მასალების ეკონომიისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. სოციალისტური შეჯიბრებისადმი ფორმალური დამოკიდებულებით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმული 80 ბრიგადიდან მხოლოდ 36 ბრიგადა ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, 22 ბრიგადა კი საგრძნობლად ჩამორჩება თვით საგეგმო დავალების შესრულებაში. მეორე სამკერვალო საამქროში შეჯიბრებაში ჩაბმული 416 მუშიდან ნაკისრი ვალდებულება ოქტომბერში მხოლოდ 275 მუშამ შეასრულა. ამ საამქროში შეჯიბრების მოწინავეთა სიაში შეიტანეს სატერფის გადამჭიმავი გ. ბეჟუაშვილი, რომელმაც თუმცა დიდი რაოდენობრივი მაჩვენებელი მოიპოვა, მაგრამ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა ვერ შეასრულა. ზედაპირის დამგვრირისტებლების ე. მალცევასა და მ. მიტიაშოვას შეჯიბრების ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია გეგმის მხოლოდ რაოდენობრივი გადაჭარბება, პროდუქციის ხარისხსა და მასალების ეკონომიაზე კი არაფერია ნათქვამი.

არ ავრცელებენ მოწინავეთა გამოცდილებას

ფაბრიკაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას, შრომის სტახანოვური ხერხების წარმოებაში მასობრივად დანერგვას. მეოთხე სამკერვალო საამქროში სამეურნეო წლის დასაწყისიდან დღემდე შეისწავლეს მხოლოდ ორი სტახანოველისა—სატერფის გადამჭიმავის ლ. ოსიპოვისა და ზედაპირის დამამზადებლის ტ. ტიმოშენკოს გამოცდილება.

პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების დავალების შეუსრულებლობა აგრეთვე იმის შედეგია, რომ ფაბრიკაში ნაკლები ყურადღება ექცევა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას, ტექნიკური მინიმუმის შემსწავლელ წრეებში და სტახანოვურ სკოლებში მუშების მასობრივად ჩაბმას. მეოთხე სამკერვალო საამქროში არც ერთი მუშა არ არის ჩაბმული ტექნიკური მინიმუმის შემსწავლელ წრეში. არადამაკმაყოფილებლად მუშობს ის ერთი წრეც, რომელიც შექმნილია ოპერაციათაშორისი კონტროლიორების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

რა უნდა გაკეთდეს?

იმისათვის, რომ ფაბრიკამ შეძლოს სახელმწიფო დავალებათა შესრულება ყველა მაჩვენებლის მიხედვით, საჭიროა აღნიშნულ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრა, ყველა საამქროში შრომის ისე მოწყობა, როგორც ეს შეძლეს მეხუთე სამკერვალო საამქროში. ამ საამქროში მტკიცედ იცავენ შრომისა და ტექნოლოგიურ დისციპლინას, ფართოდ უჭერენ მხარს ყოველ ახალ თაოსნობას, რომელიც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას. აქ თითქმის ყველა მუშას შეასწავლეს ცალკეული ოპერაციების შესრულების მოწინავე ხერხები, ამასთან ძრაველი მუშა დაუფლებულია ორ-სამ საწარმოო ოპერაციას.

საამქროში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. შეჯიბრების მთავარ პირობად დასახულია შრომის ნაყოფიერების ამაღლება და პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება. საამქროს კოლექტივი ფართოდ გამოეხმაურა მოსკოვის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ბურევესტნიკის“ ნოვატორების მარიამ ლევენკოსა და გრიგოლ მუხანოვის თაოსნობას თვითეულ საწარმოო ოპერაციაზე თვითღირებულების შემცირებისათვის შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. აქვე მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა ლიუბლინოს კაგანოვიჩის სახელობის სამხსნელო-მექანიკური ქარხნის ხარატების ანტონინა ალექსანდროვასა და ოლგა აგაფონოვას თაოსნობამ, ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება თვითეული საწარმოო ოპერაციის საუკეთესო ხარისხით შესრულებისათვის. წუნის აღმოფხვრასა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას დიდად შეუწყო ხელი მუშათა თვითკონტროლის შემოღებამ.

ასეთი მუშაობით საამქრო სტახანოვური გახდა. აქ ვერ ნახავთ ისეთ მუშას, რომელსაც 120 პროცენტზე დაბალი საწარმოო მაჩვენებელი ჰქონდეს. მუშათა საგრძნობი რაოდენობა, ყოველდღიურად 2-3 ნორმას ასრულებს. ყველა მათგანი შესანიშნავ წარმატებებს აღწევს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, თვითღირებულების შემცირების, ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიისათვის ბრძოლაში.

ფაბრიკის პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან შეისწავლონ მეხუთე სამკერვალო საამქროს გამოცდილება, რომლის ფართოდ გავრცელება დიდ სარგებლობას მოუტანს სხვა საამქროებს და მთელს ფაბრიკას 1952 წლის საგეგმო დავალების წარმატებით შესრულებაში.

მ. არუშიძე
ე. ჯაფარიძე

გავაძლიეროთ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა სოფლად

აჭარის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლად ფიზკულტურული კოლექტივების ზრდის, მათი ორგანიზაციულად განმტკიცების, სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებისა და სასპორტო ნაგებობათა მშენებლობის საქმეში.

ამჟამად აჭარაში ითვლება 133 საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივი, რომლებშიც გაერთიანებულია 14.062 წევრი.

შარშან საკოლმეურნეო ფიზკულტურულმა კოლექტივებმა მოამზადეს 3.136 მშთ I საფეხურისა და 199 მშთ II საფეხურის ნიშნოსანი, 1 პირველი, 32 მეორე და 242 მესამე თანრიგის სპორტსმენი; ამავე პერიოდში მომზადებულია ფიზკულტურული კადრები, რომლებიც ამჟამად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში.

კოლმეურნეობებში მასობრივ-ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებით გამოირჩევიან ქედის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა (ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე ა. ჯიჯავაძე), ქობულეთის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა (ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარე ლ. წულუკიძე). აღნიშნული და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოებს აქვთ სამუშაო გეგმები. ისინი რეგულარულად იწვევენ საბჭოს სხდომებს. შექმნილია და სისტემატურად მუშაობენ ფეხბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ლელოს, ჭიდაობისა და სხვა სასპორტო სექციები. პერიოდულად ეწყობა შეჯიბრებები საკოლმეურნეო პირველობაზე სპორტის სხვადასხვა სახეში.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სასპორტო მოედნების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ხულოს, ქედისა და ქობულეთის რაიონულ ცენტრებში აგებულია ფეხბურთის სტადიონები, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში — ჰიპოდრომები, ხოლო ხულოს რაიონის სოფელ ქედლებში — სათხილამურო ბაზა 30-მეტრიანი ტრამპლინით. გარდა ამისა, ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოეწყო ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები, საჭიდაო არენები და დაბრკოლებათა ზოლები. სასპორტო ბაზების მაქსიმალურად გამოყენებამ და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებამ დიდად გაზარდა სპორტსმენთა მომზადების დონე, აამაღლა მათი ოსტატობა.

ქობულეთის რაიონის კოლმეურნე ფეხბურთელთა გუნდმა აჭარის ასს რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვა. შეჯიბრებაში მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს ქედისა და ხულოს რაიონების კოლმეურნე ფეხბურთელებმა, რომლებმაც უკან ჩამოიტოვეს ისეთი ძლიერი ფეხბურთელთა გუნდები, როგორიცაა „ბურევესტნიკის“, „ნეფტიანიკის“ და სხვა გუნდები.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა ხულოს მოთხილამურეთა გუნდს, რომელმაც აჭარის 1951 წლის პირველობაზე სათხილამურო სპორტში პირველი ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, ხულოელმა სპორტსმენებმა განახორციელეს ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიება, როგორიც არის სამთო-სათხილამურო გადასვლა მარშრუტით — ხულო-გორი.

გარდა ფეხბურთისა და სათხილამურო სპორტისა, ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონების სასპორტო გუნდები დიდ წარმატებას აღწევენ ფრენბურთში, კალათბურთში, ველოსპორტში, ჭიდაობაში, ლელოსა და სპორტის სხვა სახეებში.

აჭარის სოფლის სპორტსმენები წარმატებით მონაწილეობენ შეჯიბრებაში არა მარტო აჭარის, არამედ საქართველოს პირველობაზეც. საკმარისია ითქვას, რომ 1950 წელს ქობულეთის ლელობურთელთა გუნდმა საქართველოს ჩემპიონის სახელწოდება მოიპოვა. 1951 წელს ამავე რაიონის კოლმეურნე ფეხბურთელებმა პირველი ადგილი დაიკავეს საქართველოში კოლმეურნე ფეხბურთელთა გუნდებს შორის. კოლმეურნე ველოსიპედისტთა შორის საქართველოში პირველობა წილად ხვდა ბათუმის რაიონის გუნდს, ხოლო ზონალურ შეჯიბრებაში ცხენოსნურ სპორტში — ქობულეთის რაიონის ცხენოსნებს. 1951 წელს რაიონებში განხორციელდა 113 სასპორტო ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო სოფლის 7.825 სპორტსმენმა.

მართალია, წინა წლებთან შედარებით სოფლის ფიზკულტურული კოლექტივები გაიზარდნენ და განმტკიცდნენ, მაგრამ მათს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ უმოქმედობას იჩენენ მთელი რიგი საკოლმეურნეო ფიზკულტურული ორგანიზაციები, როგორიც არიან ხულოს რაიონის სოფელ დიდაჭარის მალენკოვის სახელობის და ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივები. ამ კოლმეურნეობებში მასობრივ-ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობა ფაქტიურად ჩაშლილია, არა აქვთ სამუშაო გეგმები, არ იწვევენ საბჭოს სხდომებს. შექმნილი არ არის სექციები, არ მოუწყვიათ სასპორტო ბაზები. წელს მათ არ მოუმზადებიათ არცერთი ნიშნოსანი და თანრიგოსანი სპორტსმენი. ასეთივე მდგომარეობაა ქედის რაიონის ტელმანის, ბათუმის რაიონის ვოროშილოვის, კალინინის სახელობის, ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობა „აჭარაში“ და სხვა კოლმეურნეობებში.

ჯერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება მასობრივ-სასპორტო მუშაობაში კოლმეურნე ქალთა ჩაბმას. ამას ისიც მოწმობს, რომ რაიონებში განხორციელებულ სასპორტო ღონისძიებებში მონაწილე 7.825 სპორტსმენიდან მხოლოდ 1.517 ქალია. ისეთ მოწინავე რაიონშიც კი როგორიც ქობულეთის რაიონია, სპორტის არცერთ სახეში არ ჰყავთ ქალთა რაიონული ნაკრები გუნდი.

ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობაში კოლმეურნე ქალთა ჩაბმის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოების აღმასკომები და კოლმეურნეობათა გამგეობანი არასაკმარ დახმარებასა და მზრუნველობას უწევენ ფიზკულტურულ ორგანიზაციებს, ხოლო ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა აჭარისა და რაიონული კომიტეტები, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნე“ ნაკლებ მოთხოვნებსა და კონტროლს უწევენ სოფლის კოლექტივებს ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმების შესრულება ხდება მოწინავე საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივების ხარჯზე. ჯერ კიდევ უმოქმედობას იჩენს საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივების მნიშვნელოვანი ნაწილი ხულოს რაიონში. გასულ წელს რაიონულ პირველობაზე შეჯიბრება მხოლოდ ექვსჯერ მოეწყო. აქედან თვითეულ ღონისძიებაში მონაწილეობდა ოთხი საკოლმეურნეო კოლექტივი, მაშინ როცა რაიონში 52 ფიზკულტურული კოლექტივია. აჭარის ბევრ კოლმეურნეობას არა აქვს სასპორტო მოედნები და საჭირო ინვენტარი.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა უმოკლეს დროში მიაღწიონ ყველა კოლმეურნეობაში ფიზკულტურული კოლექტივების ორგანიზაციულად განმტკიცებას, ჩაბან მასში სოფლის ახალგაზრდობის ფართო მასები, მიაღწიონ იმას, რომ ყველა კოლექტივს ჰქონდეს სასპორტო ბაზა და საჭირო ინვენტარი.

ფიზკულტურისა და სპორტის აჭარის და რაიონულმა კომიტეტებმა, აგრეთვე სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის“ აჭარის საბჭომ მეტი დახმარება და კონტროლი უნდა გაუწიონ საკოლმეურნეო ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სოფლად მასობრივ-ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ეჭვი არ არის, აჭარის ფიზკულტურული ორგანიზაციები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით, უმოკლეს დროში აღმოფხვრიან ნაკლოვანებებს და ახალ სიმაღლეზე აიყვანენ სოფლად მასობრივ-ფიზკულტურულ და სასპორტო მუშაობას.

დ. მამულაძე

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

„გულშემატკივარი“ გამომძიებელი

ქალაქ ახალციხეში არსებობს სარეწაო კოოპერაციის არტელი, სადაც მუშაობენ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ათეულობით ხელოსანი, მჭედლები, დურგლები და პარიკმახერები. არტელის ფეხსაცმლის სამკერვალო საამქროს ხელოსნები კერძო მინამრეწველურ საქმიანობას ეწევიან. ისინი ახერხებენ ტყავნედლეულის შეძენას კერძო პირებისაგან და შემდეგ შეკერილ ფეხსაცმელს ორმაგ ფასში ჰყიდიან. ამის შესახებ მრავალი სიგნალი შედის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში, საგამომძიებლო ორგანოებსა და პარტიის რაიკომში. არტელის საქმიანობის შესამოწმებლად გამოიყო კომისია, რომელმაც ამხილა არტელში მოკალათებულ ბოროტმოქმედთა ა. საპონჯიანის, ა. კარაპეტიანის, ვ. კორკოტიანის და სხვათა ბნელი საქმეები.

1950 წლის 24 აპრილს საქმე გადაეცა რაიონის პროკურატურას. წელიწადმა და რვა თვემ განვლო მას შემდეგ, რაც ბოროტმოქმედთა საქმე ახალციხის პროკურატურაში ინახება. საქმეში არსებულ აქტებზე დამნაშავე პირები ხელს აწერენ და თავიანთ დანაშაულს აღიარებენ. მაგრამ ბოროტმოქმედთ აღმოუჩნდა „გულშემატკივარი“ გამომძიებელ გ. რაზმაძის სახით, რომელმაც საქმე მიაფუჩჩა. დამნაშავეები კვლავ განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმიანობას არტელის აბრით.

ახალციხის პროკურატურის გამომძიებელი გ. რაზმაძე საეჭვო „გულშემატკივრობას“ იჩენს ბოროტმოქმედებაში მხილებულ დამნაშავეთა დასჯაში. დამნაშავეებმა და მათმა მფარველმა პასუხი უნდა აგონ.

ე. ხარებავა

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია მოუმზადებლად ჩაეშალა

მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკაში შედგა რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია აბრეშუმის საგრეხ საწარმოებში ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვისა და ნაგრეხის (კრეპის) ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე. კონფერენციას ესწრებოდნენ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის, ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის და წულუკიძისა და მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკების წარმომადგენლები.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა ინჟინერ ს. დარჩიას და ინჟინერ დ. გაბუნიას მოხსენებები მახარაძის და წულუკიძის ძაფსახვევ-საგრეხ ფაბრიკებში გამოშვებული კრეპის ხარისხის შესახებ. თანამოხსენებით გამოვიდა საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ცენტრალური ლაბორატორიის წარმომადგენელი ინჟ. ლ. ჯანოევი.

პირველი ორი მოხსენება უბრალო ანგარიშს წარმოადგენდა, ხოლო ლ. ჯანოევის თანამოხსენება ზოგად დებულებებსა და წყალწყალა ფრაზებს უფრო შეიცავდა, ვიდრე იმის მეცნიერულად დასაბუთებას, თუ რა უპირატესობა აქვს იმ ახალ ტექნიკასა და ტექნოლოგიას, რომელიც აბრეშუმის საგრეხ საწარმოებში ინერგება და რა ღონისძიებანი უნდა გატარდეს ამ სიახლეთა მასობრივად დანერგვისათვის.

გაკვირვებას იწვევს ის, რომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს და საფეიქრო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის არცერთი ხელმძღვანელი მუშაკი არ ესწრებოდა ამ სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციას.

როგორც ცნობილია, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის, გრეხვისა და ქსოვის პროცესები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. აბრეშუმის ძაფის ამოხვევა რომ არ წარმოებდეს, ცხადია, აღარ იქნებოდა მისი აღარც გრეხვა და აღარც ქსოვა. ამიტომ გასაკვირველია, რატომ გამოჰგლიჯეს ამ პროცესებს ძირითადი ორგანული ნაწილი — აბრეშუმის ძაფის ამოხვევა? განა უმჯობესი არ იქნებოდა კონფერენციის ორგანიზატორებს მოეწვიათ რესპუბლიკის აბრეშუმის ძაფსახვევი, საგრეხი და საქსოვი ფაბრიკების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და წარმოების ნოვატორთა სამეცნიერო კონფერენცია?

სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების ასე მოუმზადებლად მოწვევა დროს დაკარგვაა და მეტი არაფერი.

ვ. ჯაყელი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

წითელი დროშა მოწინავე სასოფლო საბჭოს

ამბროლაური. (საკ. კორ.). სასოფლო გზების კეთილმოწყობისა და სოფლების გამშვენიერებისათვის რაიონის სასოფლო საბჭოებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა ძირაგეულის სასოფლო საბჭომ, რომელსაც გადაეცა პარტიის ამბროლაურის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ დღეებში შედგა დროშის გადაცემისადმი მიძღვნილი კრება, რომელიც გახსნა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. გელოვანმა. დროშა სასოფლო საბჭოს აღმასკომს გადასცა ამბროლაურის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. ბიბილაშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ კოლმეურნეები ტ. უგრეხელიძე, ს. ბოჟორიშვილი და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ჯაფარიძე. სასოფლო საბჭომ ახალი ვალდებულებანი იკისრა სოფლის შემდგომი კეთილმოწყობის საქმეში.

ქლუხორი 1952 წლისათვის

ქლუხორი. (ჩვენი კორ.). საქართველოს სხვა ქალაქთა შორის, რუსთავის შემდეგ, ქლუხორი ყველაზე ახალგაზრდა ქალაქია. მას უკვე ამშვენებენ განიერი, ხეივნიანი ქუჩები, კეთილმოწყობილი მოედნები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

1952 წელს ქლუხორი მნიშვნელოვანი წარმატებებით შეხვდა: დამთავრდა ქალაქის ახალი არქიტექტურული მშვენების — დიდი კინოთეატრის აგება; სტალინის პროსპექტზე მშენებლებმა დაამთავრეს დიდი საცხოვრებელი სახლის აგება; რუსთაველის ქუჩაზე მუშები — ადგილობრივ საწარმოთა მოწინავე ადამიანები საახალწლოდ უკვე შეასახლეს ახალ სახლში. ფართოდ გაიშალა სტადიონის მშენებლობა, დამთავრდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მოწყობა, ამუშავდა მთელი რიგი ახალი საწარმოები, გაჩაღდა ქალაქის კეთილმოსაწყობი სამუშაოები.

კიდევ უფრო დიდი სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებენ ქლუხორეული მშრომელები 1952 წელს. ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის ისინი კარგად მოემზადნენ.

„გულშემატკივარი“ გამომძიებელი

მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი

ანა ზეგერსი

ცნობილი გერმანელი მწერალი, მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ანა ზეგერსი იმ სახელოვან მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიები მიენიჭათ.

ანა ზეგერსი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებამდე იბრძოდა მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, მართალი მხატვრული სიტყვით აღფრთოვანებდა მშრომელ ხალხს.

ფაშიზმის ბატონობის პერიოდში ჰიტლერელების მიერ დევნილი ზეგერსი ემიგრაციაში იმყოფებოდა. მას არ შეუწყვეტია ბრძოლა ფაშიზმის წინააღმდეგ, მუდმივი კავშირი ჰქონდა გერმანელ ხალხთან.

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ ზეგერსი მშობლიურ ხალხთან ერთად იბრძვის მშვიდობისათვის, ერთიანი დემოკრატიული გერმანიისათვის. ზეგერსის მგზნებარე ხმა მძლავრად გაისმის მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კონგრესებზე, კონფერენციებზე, მიტინგებზე. იგი ფარდას ხდის ომის ამერიკელ გამჩაღებელთა მზაკვრულ ხრიკებს, მოუწოდებს მშვიდობის ძალთა შემჭიდროებისაკენ.

ანა ზეგერსის დასახასიათებლად საკმარისია გავიხსენოთ მისი სიტყვები: „ყოველი ადამიანის სინდისი დღეს მო-

ითხოვს პასუხს კითხვაზე: რა გააკეთე შენ მშვიდობისათვის?“ მწერლის მხატვრული შემოქმედება, მისი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობა პირდაპირი პასუხია ამ კითხვაზე.

განსაკუთრებით დიდია ზეგერსის დამსახურება გერმანელ ხალხსა და საბჭოთა კავშირის ხალხთა შორის ურთიერთ ნდობისა და მეგობრობის განმტკიცების საქმეში. იგი აღფრთოვანებულია გერმანელი ხალხისადმი საბჭოთა ხალხის ძმური დახმარებით.

1951 წლის 9 ნოემბერს მოსკოვში, მშვიდობისათვის ბრძოლაში მწერლების მონაწილეობისადმი მიძღვნილ სალამოზე, ანა ზეგერსმა განაცხადა: „როგორც კომუნისტი, მწერალი, დედა, მთელ ჩემს ძალონეს მოვახმარ მშვიდობის შენარჩუნების საქმეს“.

ცნობამ ანა ზეგერსისათვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭების შესახებ აღაფრთოვანა მოწინავე მწერალი. ამ ცნობას უდიდესი სიხარულით შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები.

— მილიონობით გერმანელ პატრიოტთან ერთად, — ამბობს ლაურეატი, — გავაკეთებ ყველაფერს, რის გაკეთებაც შემიძლია, რომ მშვიდობის ციხე-სიმაგრე მიუვალი იყოს მშვიდობის მტრებისათვის.

ჟორჟი ამადუ

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატი, მწერალი ჟორჟი ამადუ ბრაზილიელი ხალხის შვილია. იგი კარგად იცნობს ამ ხალხის მძიმე ცხოვრებას, მის ოცნებას, ბრძოლას ადგილობრივი და უცხოელ ექსპლოატატორების წინააღმდეგ.

ჟორჟი ამადუ 19 წლისა იყო, როცა გამოსცა თავისი პირველი ნაწარმოები „კარნავალის ქვეყანა“, შემდეგ იგი წერს რომანებს „კაკაო“, „ოქროს ნაყოფის მიწა“ და სხვ. თავის რომანებში იგი მოუწოდებს ხალხს ბრძოლისაკენ, აღვიძებს მასში ზიზღს დამპყრობლებისადმი, უხსნის ბრაზილიელ ხალხს: „სსნა ბრძოლაშია“!

1942 წელს არგენტინაში გამოდის მისი წიგნი „ლუის კარლოს პრესტეს“. „მე,—ამბობს იგი,—ვწერდი ამ წიგნს, ვასრულებდი რა ჩემს მოვალეობას, როგორც მოქალაქე და მწერალი“. ამ წიგნით იგი იცავდა მამაც რევოლუციონერს, ბრაზილიელი ხალხის ბელადს — ლუის კარლოს პრესტეს, რომელსაც ტრიბუნალმა 46 წლისა და 8 თვის პატიმრობა მიუსაჯა. მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ მიაღწია ბრაზილიელმა ხალხმა თავისი ბელადის განთავისუფლებას. ჟორჟი ამადუ წერდა: „ყველაფერი ეს ხდებოდა ამერიკაში, რომელსაც უწოდებდნენ თავისუფალს... არა, ეს არ არის თავისუფალი ამერიკა, აქ ხალხი მოკლებულია თავისუფლებას და დამონებულია ტირანების მიერ“.

1945-1948 წლებში ჟორჟი ამადუ დეპუტატია, რედაქტორობს პროგრესულ გაზეთ „ოქეს“, მას ირჩევენ ბრაზილიასა და საბჭოთა კავშირს შორის კულტურული ურთიერთობის ინსტიტუტის მდივნად.

1942 წელს იგი წერდა: „სსრ კავშირი მეცნიერების, კულტურის, სილამაზისა და თავისუფლების სამშობლოა. იგი სამშობლოა ადამიანური სამართლიანობისა, პოეტთა ოცნება, მუშებისა და გლეხების მიერ მშვენიერ სინამდვილად გარდაქცეული...“

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჟორჟი ამადუ მთელ თავის ენერგიას ახმარს მშვიდობის დაცვის კეთილმობილურ საქმეს.

ჟორჟი ამადუ იყო საბჭოთა კავშირში, გაეცნო გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანას და დაწერა წიგნი „სამყარო, სადაც მშვიდობა სუფევს“.

ჟორჟი ამადუ მშვიდობისა და თავისუფლების დაუცხრომელი მებრძოლია. დღეს, ამბობს იგი, მთავარია მშვიდობის დაცვა.

— მე, — განაცხადა ჟორჟი ამადუმ მისთვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით, — განსაკუთრებით ვამაყობ, რომ გავხდი მშვიდობის სტალინური პრემიის ლაურეატი ისეთ დიდ მწერლებთან ერთად, როგორიც არიან გო მო-ჟო და ანა ზეგერსი. განსაკუთრებით ვამაყობ, რომ მათთან ერთად ვეკუთვნი მშვიდობისათვის მებრძოლთა იმ არმიას, რომელიც გამარჯვებისაკენ მიჰყავს მშვიდობის დიდ მედროშეს ი. ბ. სტალინს. მშვიდობის არმიას ყველაფერი აქვს გამარჯვების მისალწევად. იგი გაიმარჯვებს!

საერთაშორისო თემაზე

ჯაშუშებისა და დივერსანტების ამერიკელი მფარველები სამარცხვინო ბოძზე

19-21 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკური კომიტეტი განიხილავდა საბჭოთა დელეგაციის მიერ დასმულ საკითხს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ. საკითხი უმთავრესად ეხებოდა ამერიკის პრეზიდენტ ტრუმენის მიერ 10 ოქტომბერს ხელმოწერილ „1951 წლის კანონს უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის შესახებ“. ამ კანონის დანიშნულებაა საბჭოთა კავშირში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ალბანეთში და ზოგიერთ სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში ჯაშუშების, მზვერავების, ტერორისტების, დივერსანტების შეგზავნა და არალეგალური მოძრაობის მოწყობა ამ ქვეყნების წინააღმდეგ.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ კანონის დაცვა მიანდეს კონგრესმენებს — მენსფილდსა და ვორისს. ძნელი ამოცანა იდგა ამერიკელი ომის გამჩაღებლების წინაშე. ძნელია დაუმალო საზოგადოებრივ აზრს ის, რომ ამერიკელი აგრესორები აშკარად, ცინიკურად ერევიან სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. ტრუმენის პოლიტიკური მრჩეველი ბერნხემი ჯერ კიდევ 1947 წელს წერდა: „აუცილებელია მთლიანად ავიღოთ ხელი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპზე... ნორმალურ პროცესად უნდა იქცეს სწრაფი, ენერგიული და სათანადო ჩარევა“. ამერიკელი პოლკოვნიკი ლეონარდ ნესონი აღიარებს: „რკინის ფარდის უკან ჩვენი დღევანდელი დივერსიული საქმიანობის მასშტაბი ძლიერ დიდია, და ამით აიხსნება ის, რომ ასე ხშირად ჩავვარდებით ხოლმე...“

მენსფილდმა მოიხადა ვალი თავისი ბატონების წინაშე და წარმოთქვა ვრცელი სიტყვა, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ცილისმწამებლურ გამოხდომას წარმოადგენდა. იგი ლაყბობდა „რკინის ფარდის“, საბჭოთა ხალხის „უუფლებობისა და ჩაგვრის“ და „კომუნისტური საფრთხის“ შესახებ. ოცი წლის წინათ ჰიტლერი ამბობდა: „ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიაში კომუნიზმის გამარჯვება მსოფლიო კატასტროფის დასაწყისი იქნებაო“. დღეს ამერიკელი კონგრესმენი მენსფილდი იმეორებს ჰიტლერის, მუსოლინის, ჰეგელსის სიტყვებს! თავის ცილისმწამებლურ და ბინძურ გამოსვლაში მენსფილდი იცავდა ჯაშუშებს, დივერსანტებს, სამშობლოს მოღალატეებს, ტერორისტებს, ბნელეთის მოციქულებს...

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ სამარცხვინო ბოძზე დააკრა დივერსანტებისა და ჯაშუშების ამერიკელი მფარველები. თავის გამოსვლაში მან ნიღაბი აჰხადა ამერიკის „ყალბ დემოკრატიას. „ის „თავისუფლება“ კი,—განაცხადა ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ,—რომელსაც აქ ქება შეასხა ამერიკელმა კონგრესმენმა და რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სუფევს, არის დოლარის თავისუფლება, შიმშილით სიკვდილის თავისუფლება, უმუშევრობის თავისუფლება და ის თავისუფლება, რომ ტერორიზებული იყო ალ კაპონეების, პენდერგასტებისა და სხვა იმ „ბოსების“ ყოველგვარი ბახდების მიერ, რომლებიც წარმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთა არჩევნებს და რომლებზეც დამოკიდებულია ამ არჩევნების წარმატებაც კი“.

ამერიკელ იმპერიალისტებს მოსვენებას არ აძლევს საბჭოთა ხალხის წარმატებები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ფრონტზე, ისინი შეშფოთებულნი არიან მიღწევებით, რაც აქვთ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, რომლებიც მტკიცედ დგანან სოციალიზმის გზაზე და სოციალისტური საზოგადოების საფუძვლებს აშენებენ. ამერიკელი აგრესორები ჩქარობენ ომი გააჩაღონ ამ ქვეყნების წინააღმდეგ. მენსფილდმა აკიწამოროშა: „არ მოგვწონს ის, რაც თქვენში ხდება, ვერ შევურიგდებიო იმას, რაც თქვენში ხდება, და ამიტომ ვერევით თქვენს საქმეებშიო“. ამერიკელ იმპერიალისტებს ავიწყდებათ, საბჭოთა კავშირი არც ინგლისია და არც საფრანგეთი, საბჭოთა კავშირი არ დაუშვებს ამერიკის ჩარევას თავის საქმეებში. მიმართა რა მენსფილდს, ამხ. ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა: „თქვენი გრძელი სიტყვით თქვენ მხოლოდ ის დაადასტურეთ, რომ მართლაც ერევით, გსურთ ჩაერიოთ სხვა სახელმწიფოთა საქმეებში. მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ არ მოგცემთ ნებას ჩაერიოთ ჩვენს საქმეებში, როგორც უნდა გსურდეთ ეს“.

ამერიკელი ომის გამჩაღებლები დივერსანტებსა და ჯაშუშებს გზავნიან საბჭოთა კავშირში. ამას წინათ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ განიხილა ამერიკელების მიერ ჩვენს ტერიტორიაზე შემოგზავნილი დივერსანტების ა. ი. ოსმანოვისა და ფ. კ. სარანცევის საქმე და მიუსაჯა მათ სასჯელის უმაღლესი ზომა—დახვრეტა. განაჩენი მოყვანილი იქნა სისრულეში. ასეთივე ბედი მოელის ყოველ ჯაშუშს, დივერსანტს, ტერორისტს, სამშობლოს მოღალატეს. იმპერიალისტები გათავხედდნენ თავიანთ ბნელ საქმიანობაში. ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ ლენინისა და სტალინის მითითებები იმის შესახებ, რომ სანამ იმპერიალიზმის ბანაკი არსებობს, იმპერიალიზმის ბნელეთის მოციქულები ყოველთვის ეცდებიან შემოგზავნონ ჩვენში დივერსანტები, ჯაშუშები, ტერორისტები, პროვოკატორები.

ამერიკელი ომის გამჩაღებლები აკოწიწებენ არმიას ჯაშუშებისაგან, მაწანწალებისაგან, სამშობლოს მოღალატეებისაგან და ცდილობენ თავიანთი აგრესიული ზრახვები შენიღბონ მყვირალა ფრაზებით რუსეთის ხალხების „განთავისუფლების“ შესახებ.

ოცდაათი წლის წინათ მსოფლიო რეაქციის ძალებმა სცადეს რუსეთის „განთავისუფლება“. მაშინ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ 14 აგრესიული სახელმწიფოს ლაშქრობამ სასტიკი მარცხი განიცადა.

ათი წლის წინათ გერმანელმა ფაშისტებმა საბჭოთა ხალხის „კომუნისტებისაგან „განთავისუფლების“ მიზნით ომი დაიწყეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს ომი ფაშიზმის ღიმარცხებით დამთავრდა.

ამერიკელ იმპერიალისტებს თავიანთი ჰიტლერელი წინამორბედების ბედი მოელით!

გივი მელაძე

პრეზიდენტ ბერუტის საახალწლო მიმართვა პოლონელი ხალხისადმი

ვარშავა, 1 იანვარი. (საკდესი). გაზეთებში გამოქვეყნებულია პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის საახალწლო მიმართვა პოლონელი ხალხისადმი. შეეხო რა გასული წლის შედეგებს, ბერუტმა თქვა:

ჩვენ ის თაობა ვართ, რომლის ყველაზე საპატიო ამოცანას წარმოადგენს ახალი სოციალისტური ადამიანების განხორციელება, პოლონელი ხალხის სრული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცება.

საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა შაგალითისამებრ, საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური დახმარების მეოხებით, სახალხო პოლონეთის მშრომელი მასები ახორციელებენ ამ იდეალებს.

გასულ წელს პოლონეთის ინდუსტრიალიზაციის საქმის ამოცანები გაიკიდნით უფრო დიდი და უფრო რთული იყო, ვიდრე წინა წლებში. სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებულ სექტორში დაბანდებული კაპიტალების საერთო თანხა გასულ წელს შეადგენდა 25 მილიარდ ზლოტს, ესე იგი მეტს, ვიდრე გათვალისწინებული იყო სამწლიანი გეგმის/მთელი პერიოდისათვის—1947 წლიდან 1949 წლამდე. ხოლო ამ სამი წლის განმავლობაში პოლონეთის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში შეტანილი წვლილი თავისი მასშტაბით უმაგალითოა კაპიტალისტური პოლონეთის ეკონომიკაში. სახალხო მეურნეობაში მუდმივი კაპიტალის ზრდა განამტკიცებს პოლონეთის ძლიერებას, ქმნის მტკიცე ბაზას ხალხის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლებისათვის.

სრულიად სხვა სურათია მარშალიზებულ ქვეყნებში, სადაც ეკრეთწოდებული ამერიკის „დახმარება“, რომელიც მოწოდებულია ვითომდა აამაღლოს ხალხთა საარსებო დონე, ფაქტიურად საფრანგეთის, იტალიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მშრომელი მასებისათვის ყელზე მოჭერილი მარყუჟია.

მოიშორა რა კაპიტალიზმის უღელი და გზა გადაუღობა რა ყოველგვარ იმპერიალისტურ ხრიკებს, სახალხო პოლონეთმა აირჩია ძნელი, მაგრამ ერთადერთი სწორი გზა, დარაზმა ხალხის ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. ამ საქმეში მას დახმარება გაუწია დიდმა საბჭოთა კავშირმა.

ოღონ, ეკონომიკაზე გადასვლის მომენტიდან მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ჩვენ ამაყად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის ძლიერება წლითიწლობით მატულობს.

მშვიდობის მსოფლიო ბანაკთან ერთად, რომელსაც სათავეში საბჭოთა კავშირი და მისი გენიალური ბელადი იოსებ სტალინი უდგანან, სახალხო პოლონეთმ მტკიცედ დგას ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლთა ერთიან ფრონტში.

ჩვენთვის, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნისათვის, საბჭოთა კავშირის მაგალითი და დახმარება ახალი ცხოვრების მშენებლობაში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციაში, ახალი ტექნიკის ათვისებასა და ეკონომიური ძლიერების სწრაფ ზრდაში განსაკუთრებით ძვირფასია. ჩვენი საწარმოო ძალების სწრაფი ზრდა ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ყოველგვარი თავდასხმის საფრთხისაგან წარმატებითი თავდაცვის აუცილებელი პირობაა. ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია თვალი ავარიდოთ იმ საფრთხეს, რასაც გვიქადის მტაცებლური პოლიტიკა ამერიკის იმპერიალიზმისა, რომელიც თავს აბვევს მასზე დამოკიდებულ ქვეყნებს გამალებულ შეიარაღებასა და ახალი ომით ემუქრება მსოფლიოს. ჩვენ არ შეგვიძლია თვალი ავარიდოთ იმ ფაქტს, რომ დასავლეთ გერმანიაში ამერიკის პროტექტორატით იარაღდება ახალი ვერმახტი, რომ საპყრობილეებიდან გამოშვებულ ჰიტლერელ სამხედრო დამნაშავეებს, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს და კიდევ უფრო აშკარად აცხადებენ რევანშის ლოზუნგებს, იარაღი ეძლევათ ხელში. მით უფრო გაძლიერებით უნდა დავრაზმოთ ჩვენი ძალები მშვიდობისათვის, ჩვენი ექვსწლიანი გეგმის შესრულებისათვის საბრძოლველად. იმის შეგნებამ, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ გაერთიანებული ვართ მძლავრ, უძლეველ საბჭოთა სახელმწიფოსთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან ძმურ კავშირში, იმის შეგნებამ, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა დღეს კაცობრიობის ფიდღეს უმეტესობას ერთიანებს, უნდა განამტკიცოს ჩვენი ხალხის ერთიანობა, უნდა შემატოს მას ძალა და ენერგია ყოველდღიურ შრომაში.

ჩვენ წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულეთ პოლონეთის ინდუსტრიალიზაციის ჩვენი დიადი ისტორიული ექვსწლიანი გეგმის პირველი ორი წლის ამოცანები. ჩვენ ფეხი შევდგით ექვსწლედის მესამე წელში, რომელიც გარდატეხის წელი იქნება გეგმის ძლევამოსილად შესრულების საქმეში.

თავის წერილში პრეზიდენტმა აღნიშნა მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები, რომლებიც შესრულებულ უნდა იქნას, რათა წარმატებით განხორციელდეს ექვსწლედის მესამე წლის დავალებანი.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1952 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა

სოფია, 30 დეკემბერი. (საკდესი). გამოქვეყნდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1952 წლის სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ.

სახალხო მეურნეობის განვითარებას 1951 წელს, ნათქვამია დადგენილებაში, ახასიათებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში პროდუქციის განუწყვეტელი ზრდა, ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესება, საქონელბრუნვის, კაპიტალური მშენებლობის გაფართოება, მთელ ბულგარეთში მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობა. 1951 წლის გეგმის შესრულება ქმნის ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის 4 წელიწადში შესრულების წინაპირობებს.

1951 წლის სამრეწველო წარმოების გეგმა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინასწარი ცნობებით, წარმატებით შესრულდება. რესპუბლიკური მნიშვნელობის მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 1951 წელს აჭარბებს 1950 წლის მოცულობას.

დიდ წარმატებებს მიაღწია სოფლის მეურნეობამ. 1951 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქცია 42,9 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1950 წელს. მტს-ების სატრაქტორო პარკი 1950 წელთან შედარებით 23,4 პროცენტით გადიდდა.

ნაციონალური შემოსავალი 1951 წელს შარშანდელთან შედარებით გადიდდა 30 პროცენტით და მეტით, მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი—57,5 ათასით. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 8,6 პროცენტით, ხოლო მშენებლობაში—16,1 პროცენტით. მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიურმა ხელფასმა საერთოდ მოიმატა 10,9 პროცენტით. 1951 წელს გაუქმდა სამრეწველო საქონლის საბარათო სისტემა, შეიქმნა პირობები ერთიანი სახელმწიფო ფასებით თავისუფალი ვაჭრობის გაშლისათვის.

შემდეგ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ 1952 წლის სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითადი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა: უზრუნველყოს სამრეწველო პროდუქციის შემდგომი ზრდა, განსაკუთრებით ელექტროენერგიის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოება; საფუძველი ჩაუყაროს საწვავის საკუთარ წარმოებას, უზრუნველყოს მეტალურგიის განვითარება, გაადიდოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება; მაქსიმალურად გამოიყენოს მდინარეთა წყალი სარწყავი სისტემების მშენებლობისათვის; გაფართოოს სამეურნეო და პოლიტიკური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან.

მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ბულგარეთის სახალხო მეურნეობის განვითარების 1952 წლის სახელმწიფო გეგმის ძირითადი მაჩვენებლები. დადგენილება ითვალისწინებს რესპუბლიკური მნიშვნელობის მრეწველობის პროდუქციის მოცულობის 24,4 პროცენტით გადიდებას 1951 წელთან შედარებით და ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის მოცულობისა — 28,7 პროცენტით. ელექტროენერგიის წარმოება უნდა გადიდდეს 38,5 პროცენტით, ქვანახშირის ამოღება—10,1 პროცენტით, თუჯის გამოდნობა—111,5 პროცენტით, ბამბეულისა და შალეულის წარმოება—17 და მეტი პროცენტით და სხვ.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია 1951 წელთან შედარებით საერთოდ უნდა გადიდდეს 14,7 პროცენტით.

ნაციონალური შემოსავალი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ზრდასთან დაკავშირებით 1951 წელს ნავარაუდევთან შედარებით იზრდება 19 პროცენტით, ხოლო ხელფასის ფონდი მრეწველობაში—11,1 პროცენტით.

მინისტრთა საბჭოს 1952 წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია მრეწველობის მუშათა შრომის ნაყოფიერების გადიდება სულ ცოტა 16,2 პროცენტით.

ბეიჯუთის მუშათა კონგრესი

ბეიჯუთი, 1 იანვარი. (საკდესი). გაზეთების „აშ-შარკის“, „ალ-ჰადაფის“, „ან-ნიდას“ ცნობით, ამ დღეებში ლიბანში გაიმართა ბეირუთისა და მისი მიდამოების მუშათა კონგრესი, რომელზეც განხილულ იქნა საკითხი მუშათა კლასის მდგომარეობის შესახებ. კონგრესმა მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებანი: იბრძოლოს მუშათა კლასის სრული ერთიანობისა და 8 საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის, გააძლიეროს ბრძოლა მშვიდობისათვის, სავსებით დაუჭიროს მხარი ეგიპტელ და ირანელ ხალხებს.

რუმინელი ხალხის დიდ მიღწევათა წელი

რუმინეთის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. პარხონის საახალწლო მიმართვა რუმინელი ხალხისადმი

ბუქარესტი, 1 იანვარი. (საკდესი). გუშინ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა კ. პარხონმა რუმინეთის მშრომელთა მიმართა საახალწლო წერილით, რომელშიც ნათქვამია:

ჩვენი მშრომელი ხალხისათვის განვლილი წელი იყო ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრების ყველა დარგში დიდი მიღწევების წელი, სოციალიზმის აშენების გზაზე მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის წელი.

ჩვენი დიდი მეგობრისა და განმათავისუფლებლის — საბჭოთა კავშირის მრავალმხრივი ძმური დახმარებით, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მჭიდრო მეგობრობითა და თანამშრომლობით რუმინეთი დღითიდღე იცვლის სახეს და ხდება მოწინავე ქვეყანა, რომელსაც აქვს მსხვილი მრეწველობა და რომლის სოფლის მეურნეობაც ვითარდება.

ჩვენს ქვეყანაში შენდება სოციალიზმის დიადი მშენებლობანი — დუნაი-შავი ზღვის არხი, ვ. ი. ლენინის სახელობის ბიკაზის ჰიდროელექტროსადგური, პოლიგრაფიული კომბინატი „სკინტეიის სახლი“, მანქანათმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობის ახალი საწარმოები და მრავალი სხვა მშენებლობანი.

მშრომელთა რიგებიდან დაწინაურდა წარმოების ბევრი სტახანოველი და მოწინავე მუშაკი. ეს ფაქტი მოწმობს შრომისადმი ახალ სოციალისტურ დამოკიდებულებას, რომელიც სულ უფრო მეკიდრდება მშრომელთა შეგნებაში.

აღნიშნა რა რუმინელი ხალხის წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, აგრეთვე მშრომელთა მზარდი კეთილდღეობა, პარხონმა განაგრძო:

მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ჩვენს ცხოვრებას, რომელიც სულ უფრო უმჯობესდება, საფრთხეს უქმნიან ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები, რომლებსაც სურთ დაიმონონ და სისხლის მორევში ჩაახრჩონ თავისუფალი ხალხები და ნანგრევებად აქციონ ყოველივე, რასაც ჩვენ ვაშენებთ. მაგრამ მშვიდობის ძალები საბჭოთა კავშირის მეთაურობით წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება. მშვიდობისათვის მძლავრმა მოძრაობამ მოიცვა მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით ადამიანი, რომლებსაც აღფრთოვანებს მშვიდობის დიდი მეფეროშის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვები. მშრომელთ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი საკუთარ ხელში აიღონ მშვიდობის საქმე და ბოლომდე დაიცვნ იგი.

წელს ჩვენ განვახორციელებთ ახალ დიდ საქმეებს და დარწმუნებული ვართ, რომ პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის და ჩვენი მამისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის მხარდაჭერით და დახმარებით შეავსრულებთ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს და ახალ ნაბიჯს გადადგამთ წინ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის აყვავებისა და განმტკიცების გზაზე. ჩვენ კიდევ უფრო მტკიცედ ეიშრომებთ და ვიბრძოლებთ ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და ძმობის საქმისათვის.

სახელმწიფო სასოფლო მეურნეობათა მიღწევანი ჩინეთში

პეკინი, 1 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ გამოქვეყნა 15 სახელმწიფო სასოფლო მეურნეობის და ტიანძინის სატრაქტორო სადგურის მუშაკების წერილი თავმჯდომარის მაო ძე-დუნისადმი. ამ წერილით ისინი სიხარულითა და სიამაყით აცნობებენ თავიანთ წარმატებებს გასული წლის განმავლობაში და უზიარებენ თავიანთ 1952 წლის გეგმებს.

სახელმწიფო სასოფლო მეურნეობათა და ტიანძინის სატრაქტორო სადგურის შექმნიდან, ნათქვამია წერილში, ცოტა დრო გავიდა, მაგრამ ამ მოკლე ვადაში მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები. მექანიზაციის სკოლასთან არსებულმა საცდელმა სახელმწიფო სასოფლო მეურნეობამ 944 მუ ფართობის (1 მუ უდრის $^1/_{15}$ ჰექტარს) თვითეულ მუზე მოიყვანა საშუალოდ 296 ძინი ბამბა (ძინი უდრის 0,6 კილოგრამს); სახელმწიფო სასოფლო მეურნეობა „ულიტიანში“ 2.620 მუ ფართობის თვითეულ მუზე საშუალოდ მოკრეფილია 215 ძინი.

წერილში აღნიშნულია, რომ მებამბეებს დიდად დაეხმარა საბჭოთა გამოცდილება, რომლის უფრო ღრმად შესწავლაც მათ იკისრეს. სახელმწიფო სასოფლო მეურნეობათა კოლექტივები პირობას აძლევენ მაო ძე-დუნს მომავალ წელს უფრო უხვი მოსავალი მოიყვანონ.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 31 დეკემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეკანდელ ცნობაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით წინანდელ ზღუდეებზე განაგრძობდნენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ, ამასთან ზარალს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დასავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის ნაწილებმა მოწინააღმდეგისაგან გაწმინდეს კორეის დასავლეთ სანაპიროსთან მდებარე კუნძულები სოენფხენდო და ძენფხენდო. წინასწარი ცნობებით, სახალხო ჯარებმა მთლიანად გაანადგურეს ლისინმანელთა ჯარების ორი ბატალიონი, ხელთ იგდეს 170-ზე მეტი შაშხანა, 5 ტყვიამფრქვევი, 3 რადიოდანადგარი, 156 ყუთი ვაზნა და ბევრი სხვა სამხედრო ქონება. გარდა ამისა, სახალხო ჯარებმა ხელთ იგდეს 2 მოტორიანი გემი და 20 სადესანტო გემი. კუნძულ ძენფხენდოს რაიონში ჩაძირულია რამდენიმე გემი ლისინმანელთა ჯარებითურთ, რომლებიც ცდილობდნენ გაქცეოდნენ დევნას.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 1 იანვარი. (საკდესი). სინხუას საგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე ჩვენმა დელეგატებმა ახალწლის დღეს იმ ქვეკომიტეტების სხდომებზე, რომლებიც გაინიხილავენ დღის წესრიგის მე-3 და მე-4 პუნქტებს, წინადადება შეიტანეს, რომ ორივე მხარემ იხმაროს შემდგომი ღონისძიებანი, რათა მოგვარდეს მათ შორის დარჩენილი უთანხმოება იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს დაზავების შესახებ შეთანხმების მალე მიღწევა.

იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც განიხილავს დღის წესრიგის მე-3 პუნქტს, ჩვენმა დელეგატმა განაცხადა, რომ მეორე მხარემ უარი უნდა თქვას თავის უგუნურ მოთხოვნაზე ჩვენი აეროდრომების მიმართ შეზღუდვისა და კორეის საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ. თუ მეორე მხარე უარს იტყვის ამ უგუნურ მოთხოვნაზე, დიდად აღარ გაძნელდება სხვა უთანხმოებათა გონივრული მოგვარების მალე მიღწევა.

იმ ქვეკომიტეტის სხდომაზე, რომელიც განიხილავს დღის წესრიგის მე-4 პუნქტს, ჩვენმა დელეგატმა აღნიშნა, რომ ქვეკომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს დაზავების შესახებ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ ყველა სამხედრო ტყვის მალე განთავისუფლების პრინციპი. რაც შეეხება სამხედრო ტყვეების შესახებ ცნობების გაცვლას, ჩვენმა მხარემ უკვე წარადგინა ცნობები ის სამხედრო ტყვეების შესახებ, რომლებიც ამ-ამად ჩვენთან იმყოფებიან, და მოელის, რომ მეორე მხარე შეავსებს დღემდე წარმოდგენილ არასაკმარის ცნობებს. რაც შეეხება მეორე მხარის მოთხოვნას ყველა იმ სამხედრო ტყვის თაობაზე ცნობების წარდგენის შესახებ, რომლებიც ჩვენმა მხარემ ტყვედ ჩაიგდო, ჩვენ არაერთხელ განგვიმარტავს, რომ მეორე მხარის იმ სამხედრო მომსახურეთა დიდი უმრავლესობა, რომლებიც ჩვენ ტყვედ ჩავიგდეთ, ბრძოლის ველზე გავათავისუფლეთ. მაგრამ ჩვენი მხარე მაინც მზად არის შეამოწმოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყველა მასალა, რომელიც ამას შეეხება, რათა გაუცვალოს ეს მასალები მეორე მხარეს თანაბარ საფუძველზე.

იაპონელი ჯარისკაცები მონაწილეობენ კორეის ომში

პრაღა, 29 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ტელეპრესის საგენტოს სპეციალური კორესპონდენტი სან-ფრანცისკოდან გადმოგვცემს, კორეიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებულმა დაჭრილმა ამერიკელმა ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ დეკემბრის პირველ ნახევარში კორეაში ჩავიდნენ იაპონელ ჯარისკაცთა და უნტერ-ოფიცერთა ჯგუფები 100-150 კაცის რაოდენობით

ეს ჯგუფები შეუერთეს მე-9 საარმიო კორპუსს, მე-7 და 24-ე დივიზიებს.

დაჭრილთა ნაამბობის თანახმად, ყველა ეს ჯარისკაცი სპეციალურად მომზადეს გუმის, იამასნის, სიძუოკას პრეფექტურების ამერიკელთა სამხედრო ბანაკებში.

ერთმა დაჭრილმა ამერიკელმა ჯარისკაცმა ილაპარაკა იაპონელ უნტერ-ოფიცერ ოკადზე, რომელიც მე-9 საარმიო კორპუსში მსახურებდა. ოკადა კორეის ომში მონაწილეობის მისაღებად 1951 წლის მარტში ბიხოროში კუნძულ ხოკაიდოზე გადაიბარა ორგანიზაციამ, რომელსაც ეწოდება „ახალგაზრდათა რაზმი წარმოების გასადიდებლად“. ოკადამ ჯარისკაცებს უამბო, რომ ეს ორგანიზაცია შეიქმნა ამერიკელთა ხელმძღვანელობით 1950 წელს კორეაში ომის დაწყებისთანავე. მას შემდეგ ამ ორგანიზაციამ შეაგროვა რამდენიმე ათასი იაპონელი ჯარისკაცი, რომლებიც ან გაგზავნილი არიან კორეაში, ანდა მათ აყენებენ იაპონიაში მე-10 და მე-16 საარმიო კორპუსების დამხმარე ქვეგანაყოფებში.

გარდა ამისა, ოკადამ თქვა, რომ მასთან ერთად ასწავლიდნენ 400 ყოფილ ჯარისკაცს, რომლებიც თავის დროზე ომობდნენ ჩინეთში, მალაიასა და ბირმაში, ისევე როგორც ეგრეთწოდებული „გლეხი ახალგაზრდობის კავშირის“ რამდენიმე „მოხალისეთა რაზმის“ წევრებს.

დაჭრილებმა განაცხადეს, რომ კორეაში ჩასულ ყველა იაპონელ ჯარისკაცს ამერიკული ფორმა აცვია. ამ ჯგუფებს იყენებენ დამსჯელ ან პოლიციის რაზმებად პარტიზანებთან საბრძოლველად, ჯზების, სამხედრო საწყობებისა და ფრონტის ხაზის მახლობლად ნაგებობათა დასაცავად.

დაჭრილებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ, როგორც მოელიან, ჰუსანს მალე ჩავლენ იაპონიის სარეზერვო პოლიციური კორპუსის ნაწილები.

„ევროპის არმიის“ შექმნის იმპერიალისტური გეგმები

პარიზი, 30 დეკემბერი. (საკდესი). მთავრდება დასავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის მინისტრების თათბირი ეგრეთწოდებული ევროპის არმიის შექმნის საკითხზე.

როგორც გაზეთი „კომბა“ აცხადებს, „ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ, რომ ყველაფერი გადაწყდეს ამერიკის კონგრესის მუშაობის განახლებამდე, ე. ი. 3 იანვრამდე“.

ამერიკის შეერთებული შტატები აჩქარებენ „ევროპის არმიის“ შექმნას. მაგრამ, „ექსპერთათბირის მსვლელობის შესახებ გაზეთების ცნობების თანახმად, წინააღმდეგობა თათბირის მონაწილეთა შორის ჯერ კიდევ არ არის დაძლეული.

ინდოეთის არჩევნების გამო

დელი, 1 იანვარი. (საკდესი). კალკუტის მიდამოების მოსახლეობამ, რომელიც აღმოთავდა ინდოეთ, ომ დასავლეთ ბენგალიაში არჩევნების წინ რეაქციამ დაიწყო ელექტორატულ სამოქალაქო თავისუფლებებზე შეტევა, ხალხმრავალი საპროტესტო დემონსტრაცია გამართა. დემონსტრაციის მონაწილენი მოითხოვდნენ გაერთიანებული მემარცხენე ფრონტის ის 10 აქტიური მოღვაწის გათავისუფლებას, რომლებიც ჩანდერნაგორსა და ბმადრესვარში (ჩანდერნაგორის სამხრეთით) დაპატიმრეს.

გაზეთ „ტაიმს ოფ ინდიას“ ცნობით, პოლიციამ გარეკა დემონსტრაცია. დემონსტრაციის ბევრი მონაწილე დაჭრილია. 72 კაცი დაპატიმრეს.

დელი, 1 იანვარი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ იუწყება, ჰანუგკონდის საარჩევნო ოლქში გამარჯვება მოიპოვა ჰაიდერაბადის სახალხო-დემოკრატიული ფრონტის კანდიდატმა რაჯპაჯა რაომ.

ეროვნული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ტაგანრაგის ოლქის ბორის ბუკროვს ფურცხვანიძეს დაეკისრა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

• • •

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ამხ. მიხეილ ყარამანისძე ლომიძე განთავისუფლებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. (საქდესი).

მოგზაურობენა თბილისი—გორი—თბილისი

გორი. (ხაკ. კორ.). ახალი 1952 სამეურნეო წლის დაწყების აღსანიშნავად 30 დეკემბერს თბილისის ავტომოტოკლუბმა მოაწყო მოტოციკლისტების გადარბენი მარშრუტით თბილისი — გორი—თბილისი. გორში ჩამოსვლისას მოტოგადარბენის მონაწილეებმა სტალინის მოედანზე გამართეს საჩვენებელი შეჯიბრება.

წრიულ შეჯიბრებაში 15 წრეზე გამარჯვება მოიპოვა საქართველოს რეკორდსმენმა კ. ცალქალამანიძემ. მეორე ადგილზე გამოვიდა საქართველოს ჩემპიონი მოტოსპორტში ო. კანდელაკი. ქალთა შორის შეჯიბრებაში 15 წრეზე პირველობა მოიპოვა ვალენტინა ბარასიევამ, რომელმაც მოცეფული მანძილი (15 წრე, ე. ი. 15 კილომეტრი) 15 წუთსა და 46 წამში გაიარა.

შემდეგ გაიმართა შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში რვა ხუთკილომეტრიანი წრის გავლაში. პირველი ადგილი აქაც კ. ცალქალამანიძემ მოიპოვა, ხოლო მეორე ადგილი ო. კანდელაკმა. მესამე ადგილზე გამოვიდა ახალგაზრდა მოტოსპორტსმენი ნ. დავითაშვილი. შეჯიბრებას დიდძალი ხალხი დესწრო.

ნაძვისხე 18.000 ბავშვისათვის

საქართველოს პროფსაბჭომ სახელმწიფო ფილარმონიის საზამთრო თეატრის დარბაზში მოაწყო დიდი ნაძვისხე, რომელიც მომსახურებას გაუწევს პროფესიულ კავშირთა წევრების შვილებს—18.000 ბავშვს.

ნაძვისხესთან ბავშვების გასართობად გამოყოფილია 4 დიდი დარბაზი—საცეკვაო, თოვლის ბაბუასა და საჩუქრების, საკონცერტო-სასმენელო და საკუთრივ ნაძვისხის დარბაზები. ნაძვისხესთან ბავშვების ზეიმი გაიმართება ყოველდღე არდადეგების ბოლომდე.

პრემიერა გორის თეატრში

გორი. (ხაკ. კორ.). გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა შ. დადიანის პიესა „ნაპერწკლდან“. პიესა დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ, მხატვრულად გაფორმა შ. ყორეოლაძემ.

როლების კარგად შესრულებით მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ა. ივერიელმა და შ. ხერხეულიძემ, მსახიობებმა—გ. ცოცქაშვილმა, ნ. მაჭავარიანმა, ვ. კახნიაშვილმა, ს. კალანდარიშვილმა, რ. ლორთქიფანიძემ, ი. ოსაძემ, ვ. ცხვარაშვილმა და სხვებმა.

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“

პირველი გვერდი — „პრავდის“ 2/I მოწინავე —მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

კიოდოს საგენტოს მთავარ რედაქტორს ბატონ კიისი ივამოტოს.

სსრ კავშირის გზათა მინისტრის პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი დატვირთვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ.

ახალი წლის დღეს. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

მეორე გვერდი — პარტიული ცხოვრება — პარტჯგუფორგის დღიური. ა. ბუაძე—საბჭოთა დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები.

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში.

სოფლის მეურნეობის თემაზე—ა. მარჯანიშვილი — ტყის გასაშენებელი ნერგის შესახებ. ნ. შემანიშვილი—ხეხილის ბაღებში. ა. კუმარიტოვი—კოლმეურნეობის აგრონომიულ წრეში.

მესამე გვერდი — დაზგის სტახანოვური შეიარაღება (ჩქაროსანი ხარატის ი. ჭუმბურიძის ნაამბობი). ა. ჟანდარიოვსა და ო. აგაფონოვას მეთოდით (ჩამომსხმელ გ. ზერცელაშვილის ნაამბობი).

მკითხველთა წერილები: მ. ფიჩხაძე—დ. კნიპერისა და ა. ბაბაჯანიანის კონცერტები.

ლიტერატურული მემკვიდრეობიდან—კ. ბერი საქართველოში. ი. ლისაშვილი—სტამბა „ნინა“ (ნაწყვეტი რომანიდან „კეცხოველი“).

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

4 იანვარს

6.25 — კამლდინოვის ნაწარმოებები ხალხური საკრავებზე ორკესტრის შესრულებით. 7.30 —ა. ბალანჩივაძის ინტერმეცო „რიკას ტბა“ და ნ. ნარიმანიძის „საცეკვაო სუიტა“. 10.30—ქართველი პოეტების ლექსები ხალხთა მეგობრობაზე. 11.30 — რუსული და უკრაინული ხალხური სიმღერები. 17.15 — კონცერტი ბალაკირევის ნაწარმოებებიდან. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — ქართული ხალხური სიმღერები. 19.15 — კამენსკის საფორტეპიანო კონცერტი. 20.30 — რადიოსადგურებით — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, ქალაქის ქსელით — კამერული მუსიკის კონცერტი. 20.45 — სავიოლინო მუსიკა. 21.00 — ლექცია დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად. 21.50 — სცენები სმეტანას ოპერებიდან. 22.30 — ლიტერატურული გადაცემა. 22.50 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 00.05 — საოპერეტო მუსიკა.

დღეს თეატრებში

რუსთაველის სახელობის — ბეპო (დილას და საღამოს); **მარჯანიშვილის სახელობის**—რევიზორი (დილით), მოძღვარი (საღამოს); **გრიბოედოვის სახელობის**—იმათ მხარეში (დილით), მგლები და ცხვრები (საღამოს 42-ე, 43-ე ან.); **მუსიკალური კომედიის**—ჩემი გიუზელი (დილით), როზ-მარი (საღამოს მე-15 ან.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბაში-აჩუკი (37-ე ან. 12 ს. ძერჟინსკის სახელობის კლუბში); **ხანკულტურის**—მაიის წყარო (ბრემიერა); **ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი“, „ოქტომბერი“, „ისანი“, **26 კომისრის სახელობის**—სახიფათო რეისი; **„კომკავშირელი“**, **„სპარტაკი“**—უკანასკნელი ბანაკი; **„თბილისი“**—მისამართი უცნობია.

მეუღლე თამარ, შვილი მელსი, მშობლები ზაქარია, ევა, ძმები ალექსანდრე, ნიკოლოზ, და ნადია მართაშვილები იუწყებიან **გოგი ზაქარიას-ძე მართაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-I, 4 ს. სამტრედიის, 22.

შვილები ლუსია, ნორა, ვალოდია, კოლია, ანდრო, რძლები მარო, თამარ, მერი, **შვილიშვილები** დონარა, ოთარ კაპანაძეები, სიძე გ. არაშიძე იუწყებიან **ელენე პეტრეს ასულ კაპანაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 3-I, 4½ ს. ჯაფარიძის, 20.

შვილები ქსენია, ლიდა, აგრაფინა მაისა